გაზეთი ზივრის. „ვერსიის" ერთი

# ვერსია

№48 (1638) 7 — 13 დეკემბერი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

## ჩვენი დროის „გრინჩების" იაფფასიანი პერფორმანსი – შავი ლენტები საახალწლო ნაძვის ხეზე

როგორ აღნიშნა ნაციონალურმა მოძრაობამ აგვისტოს ომის შემდეგ, 2009 წლის ახალი წელი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა, რომელიც 2014 წელს მთავარ პროკურატურაში გადაიგზავნა

# „პედერასტია, მე პირადად მწოვდა!"

პუტინმა „ვაგნერის" ხელმძღვანელისა და პირადი „მზარეულის" განდგურების გადაწყვეტილება მიიღო?!

## „აჩქარდა და შეცდა!"

2022 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები – ვახტანგ ძაბირაძის ანალიზი

## რატომ ჩასცა ვანო მერაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილს მახვილი

უდელი ვანოს მძაფრსიუჟეტიანი დოსიე

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

# რატომ ჩასცა ვანო მერაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილს მახვილი

ნინო დოლიძე

**ენმ-ში დიდი გნიასია – პარტიის თავმჯდომარეობისთვის მოქმედი თავმჯდომარე ნიკა მელია და ლევან ხაბეიშვილი იბრძვიან. მხოლოდ პოლიტიკურ კულუარებში კი არა, უკვე ღიადაც ამბობენ, რომ ხაბეიშვილის უკან თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი და შს ყოფილი მინისტრი, ვანო მერაბიშვილი დგანან. უფრო მეტიც, მედიაში გავრცელდა კულუარული ცნობა, რომ კეზერაშვილმა მერაბიშვილს, იმისთვის, რაც ახლა ხდება, თითქოს, რამდენიმე მილიონი მისცა და ამ თანხის ნაწილი მერაბიშვილმა დიღომში, სასახლის მშენებლობაზე დახარჯა. ასეა თუ ისე, ისე ჩანს, რომ უდელმა ვანომ სააკაშვილს ზურგში მახვილი საბოლოოდ ჩასცა. არადა, მის აღზევებაში ექსპრეზიდენტს ლომის წვლილი აქვს შეტანილი. და მაინც, ვინ არის მერაბიშვილი – „ვერსია“ ენმ-ს ერთ დროს „რუხი კარდინალის“ მძაფრსიუჟეტიან „ქეისს“ გთავაზობთ.**

## უდელი ვანოს მძაფრსიუჟეტიანი დოსიე

### ოფიციალური დოსიე

ივანე (ვანო) მერაბიშვილი, როგორც ქართული „ვიკიპედია“ იუწყება, 1968 წლის 15 აპრილს, ადიგენის რაიონის სოფელ უდეში დაიბადა. ისე, იმ დროს, როცა მერაბიშვილი ქვეყანას მოევლინა, 15 აპრილი სიყვარულის დღედ არ იყო გამოცხადებული, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, ფაქტია: ბოლო წლებია, 15 აპრილს, ჟურნალისტ ბესო ჩუბინიძის ინიციატივით, საქართველო სიყვარულის დღეს ზეიმობს. ჰოდა, ალბათ, ბედის ირონიაა, რომ მერაბიშვილის დაბადებისა და სიყვარულის დღეები ერთმანეთს ემთხვევა. მათ, ვინც ქართულ პოლიტიკას თვალს ადევნებს, მერაბიშვილის შს მინისტრობა კარგად ახსოვს ანუ მართალია, „ნაციონალურ საქართველოში“ ადამიანების „ტრუსიკ-მაიკით“ დაჭერისა და ქუჩაში დახვრეტის „ტრადიციას“ საფუძველი ირაკლი ოქრუაშილის შს მინისტრობის დროს ჩაეყარა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ ძალოვან უწყებას სათავეში უდელი ვანო ჩაუდგა, ხალხის წამების მეთოდები დაიხვეწა. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული სისხლიანი საქმე – სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, რომელიც, პრაქტიკულად, სააკაშვილის მმართველობის დასასრულის დასაწყისად იქცა, სწორედ, მერაბიშვილის შს მინისტრობას უკავშირდება.

2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ინტერნეტში ვიდეო გავრცელდა, რომელიც, სავარაუდოდ, ნაცების მმართველობის დროსაა გადაღებული. ამ ვიდეოკადრებში ვანო მერაბიშვილი მკაფიოდ ჩანს, რომელიც ხელქვეითებს „ორ გვამს“ სთხოვს. ყველაფერ ამის მიუხედავად, ქართულ „ვიკიპედიაში“ მერაბიშვილი „სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწედ“ არის მოხსენიებული (?!).

ამავე წყაროს მიხედვით, ვიდრე პოლიტიკაში ჩაერთვებოდა, მერაბიშვილი სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, კერძოდ, 1992-1995 წლებში, მომავალი შს მინისტრი „გე პე ი“-სა და აგრარულ უნივერსიტეტებში ლაბორანტად, უფროს ლაბორანტად, ასისტენტად და უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა. 1995 წელს, მერაბიშვილი მეცნიერებიდან არასამთავრობო სექტორში ინაცვლებს და მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას აფუძნებს, 1996 წელს კი თავისუფლების ინსტიტუტის ერთ-ერთი თანადამფუძნებელი ხდება.

საერთოდ, მიწა მერაბიშვილის X-ფაილში ერთ-ერთი „სუსტი რგოლია“. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, 2001 წლის მაისში, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია, „ტერა ინსტიტუტთან“ ერთად, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით, საქართველოში მიწის ბაზრის განვითარების პროექტს იწყებს, რაც პრივატიზებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას გულისხმობს. ამ დროს მერაბიშვილი უკვე პარლამენტის წევრია. მის მიერ დაფუძნებულ არასამთავრობოს კი ჯაბა ებანოიძე ხელმძღვანელობს. ისე, მერაბიშვილის აღზევების დროს, ჯაბა ებანოიძეც დაწინაურებული გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, მას ჯერ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, მოგვიანებით კი შემოსავლების სამსახურის უფროსის პოსტი ეკავა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, კერძოდ, 2013 წლის იანვარში, ებანოიძეს ბრალი რამდენიმე მუხლით წაუყენეს ანუ გამოძიება თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, ქონების გადამალვასა და საანგარიშსწორებო დოკუმენტების გაყალბებას ედავებოდა. მაშინდელი მედიის ცნობით, ებანოიძემ ბრალი ნაწილობრივ აღიარა.

ცნობისთვის: საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმა, რომელიც 2.5 მილიონი მიწის ნაკვეთის კერძო საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებდა, 1999 წლის მაისში დაიწყო. მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემისათვის აუცილებელი საკანონმდებლო აქტების მომზადებაში მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას იმთავითვე აქტიურად იყო ჩართული.

ისე, შეიძლება, უბრალო დამთხვევაა, მაგრამ 1999 წლის მოწვევის პარლამენტში, როცა დეპუტატი გახდა, მერაბიშვილი ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტს ჩაუდგა სათავეში. სწორედ მაშინ ითქვა, რომ მას გარკვეული ინტერესები „ჟინვალჰესთანაც“ ჰქონდა...

ამ „პატარ-პატარა“ სკანდალების მიუხედავად, თუკი „ვაშინტონ პოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუს არ ჩავთვლით, რომელიც წეღან ვახსენეთ, 2003 წლის მოვლენებამდე, მერაბიშვილის არსებობის შესახებ ფართო საზოგადოებამ არაფერი იცოდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი პოლიტიკურმა ღმერთებმა თუ პოლიტიკური სამოთხიდან განდევნილმა ანგელოზებმა, როგორც ჩანს, მისი მფარველობა გადაწყვიტეს და უდელმა ვანომაც თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა:

2004 წლის 26 იანვარს ანუ ინაუგურაციის მეორე დღესვე, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ეროვნული უშიშროების საკითხებში თავის თანაშემწედ დანიშნა. პარალელურად, მერაბიშვილი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა. დაახლოებით, ექვსი თვის შემდეგ, კერძოდ, 2004 წლის 7 ივნისს, მერაბიშვილი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ხდება და ამ თანამდებობას წლის ბოლომდე – 18 დეკემბრამდე იკავებს, საიდანაც მუშაობას შსს-ში, მინისტრის რანგში აგრძელებს.

ნაციონალთა კულუარებში გარკვეულები ამბობენ, რომ მერაბიშვილს ბევრი მტრობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის, პრაქტიკულად, ერთადერთი იყო, რომელმაც „ვარდების მთავრობაში“, სააკაშვილის პრეზიდენტობის ორივე ვადის დროს, სავარძელი მყარად შეინარჩუნა – მართალია, 2012 წლის შუახანებში, შს მინისტრობა დატოვა, მაგრამ უსამსახუროდ არ დარჩენილა – პრემიერად დაინიშნა და ეს პოსტი 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე ეკავა.

რატომ უქმნიდა სააკაშვილი მერაბიშვილს სასათბურე პირობებს? – ეს რიტორიკული კითხვაა...

ექსხერხემლისა და ნაცმოძრაობის აწ უკვე ყოფილი გენერალური მდივნის ოფიციალური დოსიე სრულყოფილი რომ გამოვიდეს, ხაზს კიდევ ორ დეტალს გავუსვამ:

ვანო მერაბიშვილი დაქორწინებულია და ორი ვაჟი ჰყავს. ყველაზე გახმაურებულ სკანდალში კი სწორედ მეუღლის გამო გაეხვა. შეიძლება, ეს დელიკატური თემაა, მაგრამ ამის თაობაზე უკვე იმდენჯერ ითქვა და დაიწერა, რომ დასამალი აღარაფერია.

მოკლედ, იმ დროს, როცა მერაბიშვილი, პრაქტიკულად, თავისი კარიერის ევერესტზე იმყოფებოდა და, როგორც იტყვიან, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა – ქალამნად, ტელეკომპანია „იმედმა“ საზოგადოებას სისხლიანი ამბის შესახებ ამცნო. სახელდობრ, გადაცემა „დროება“ იუწყებოდა, რომ ძალოვანებმა ოქროყანის სასაფლაოზე წამებით მოკლეს ახალაზრდა მამაკაცი, სანდრო გირგვლიანი. ამასთან, სატელევიზიო სიუჟეტში ნათქვამი იყო, რომ ინციდენტი „შარდენ-ბარში“ დაიწყო, სადაც დათა ახალაიასთან, გურამ დონაძესთან, ვასილ სანოძესა და ოლეგ მელნიკოვთან ერთად, მერაბიშვილის თანამეცხედრე, თაკო სალაყაიაც იმყოფებოდა. მოგვიანებით, გირგვლიანის მკვლელობის მთავარ ფიგურანტად მაშინდელი ოპოზიცია სწორედ სალაყაიას დაასახელებს და მისი დასჯის პარალელურად, მერაბიშვილის შს მინისტრობიდან გადაყენებასაც მოითხოვს.

*დასასრული მე-3 გვერდზე*

# რატომ ჩასცა ვანო მერაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილს მახვილი

*მე-2 გვერდიდან*

სააკაშვილის საბედისწერო შეცდომად შეიძლება ის ჩაითვალოს, რომ გირგვლიანის საქმის გამო, ვანო „კბილებით დაიცვა“. სწორედ ამიტომაც, შს ექსმინისტრი მთელი ცხოვრება ექსრეზიდენტის მადლობელი უნდა ყოფილიყო და მისი ნაფეხურებისთვის ეკოცნა, მაგრამ მოგეხსენებათ, პოლიტიკა „სიბინძურის ხელოვნებაა“. მაშასადამე, პოლიტიკაში მუდმივი არც მტრები არსებობენ და არც – მეგობრები. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ვანომ მიშას „ზურგში მახვილი ჩასცა“?!

შს ყოფილი მინისტრის ოფიციალური დოსიე ბოლო შტრიხითაც შევავსოთ. ეს „ბოლო შტრიხი“ კი მერაბიშვილის ტუსაღობაა: პატიმრობაში ყოფნისას, თავს ხშირად გვახსენებდა. ამ მხრივ კი ყველაზე გახმაურებული „თავის შეხსენება“ ის იყო, როცა უდელმა „რუხმა კარდინალმა“ განაცხადა, საკნიდან ღამე გამიყვანეს, მთავარ პროკურორთან მიმიყვანეს და მაიძულებდნენ, სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მიმეცაო.

შეგახსენებთ: შს ყოფილ მინისტრსა და, ასევე, ყოფილ პრემიერს ბრალი რამდენიმე მუხლით ჰქონდა წაყენებული. კერძოდ, მერაბიშვილი მოსყიდვაში, გაფლანგვასა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, ამასთან, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესა და 26 მაისის აქციის დაშლაში იყო მხილებული. 2014 წლის 17 თებერვალს, სასამართლომ მერაბიშვილი დამნაშავედ სცნო და თავისუფება 5 წლით აღუკვეთა. მერაბიშვილმა საპატიმრო რამდენიმე წლის წინ დატოვა, თუმცა პოლიტიკაში არ ჩარეულა, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ.

## უდედან ჩრდილოეთამდე

ჩემს პირად ჟურნალისტურ არქივში კიდევ ერთი სკანდალური ინტერვიუ ინახება. ამჯერად, რესპონდენტი უშიშროებასთან ასოცირებული პირია, რომელიც ღიად მიანიშნებს, რომ მერაბიშვილს ბმა, შესაძლოა, რუსეთის სამხედრო დაზვევასთან, ესე იგი, „გრუ“-სთან ჰქონდეს. ამ მოსაზრებას ერთი გარემოებაც ამყარებს, სახელდობრ, მერაბიშვილი, როგორც სახელმწიფო მაღალჩინოსანი, ქართველ და ევროპელ ჟურნალისტებს არა, მაგარამ სამაგიეროდ, რუსულ მედიას სწყალობდა. ახლა, ეს დეტალი შეიძლება, არაფერზე მეტყველებს, მაგრამ მოგეხსენებათ, ეშმაკები სწორედ დეტალებში სხედან.

2010 წლის 10 დეკემბერს, ინტერნეტპორტალი „ნეტგაზეთი“ აქვეყნებს სტატიას – „სად იძებნება ვანო მერაბიშვილი“, რომელშიც ნათქვამია:

**„ვანო მერაბიშვილი – თუკი ამ სახელს და გვარს რუსულ ენაზე ჩაწერთ Google-ის საძიებო სისტემაში, საქართველოს შს მინისტრზე შესაძლებელია უფრო მეტი გაიგოთ, ვიდრე – ამ სახელისა და გვარის ქართულ ენაზე ჩაწერის შემთხვევაში“.**

რუსული „კომერსანტის“ ჟურნალისტი წლის განმავლობაში, დაახლოებით, ორ ინტერვიუს წერს მერაბიშვილთან; „ლენტა.რუ“-ზე ვანო მერაბიშვილის ბიოგრაფიას გაეცნობით; „ეხო მოსკვისა“ და „რია ნოვოსტის“ გვერდებზე, შეგიძლიათ, წაიკითხოთ ინტერვიუები ვანო მერაბიშვილთან. მოკლედ, მერაბიშვილთან ინტერვიუს არაერთი რუსული მედია აქვეყნებს, თუმცა მათ შორის ყველაზე აქტიური რუსული „კომერსანტია“ (commersant.ru), რომლის ჟურნალისტი ოლგა ალიონოვა ვანო მერაბიშვილს 2009-2010 წლებში რამდენჯერმე ესტუმრა და, შესაბამისად, რამდენჯერმე გამოაქვეყნა მისი ინტერვიუ გაზეთსა თუ ინტერნეტ გვერდზე.

მერაბიშვილთან სასაუბრო თემა, მცირე გამონაკლისების გარდა, ერთია: რეფორმა, რომელიც შს სამინისტრომ განახორციელა და პოლიციის რეიტინგი საქართველოში, თუმცა კარიერაზე საუბარსა და მის მიერ განხორციელებულ რეფორმებთან ერთად, ვანო მერაბიშილი არ ერიდება პოლიტიკურ შეფასებებსაც. ის პოლიტიკურ განცხადებებსაც აკეთებს. ხშირად ქართული მედია პოლიციაზე სიახლეებს, სწორედ რუსი ჟურნალისტების მიერ აღებული ინტერვიუდან იგებდა ხოლმე. 2010 წელს, ვანო მერაბიშვილთან სულ მცირე ექვსი ინტერვიუ ჩაწერეს ჟურნალისტებმა. აქედან მხოლოდ ერთია ჩაწერილი ქართული მედიის მიერ: „ტელეიმედის“ ეთერში გასულ „სპეციალურ რეპორტაჟში“ (12 ნოემბერი, 2010 წელი), ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რატომ ჩნდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ხშირად რუსულ მედიაში, მერაბიშვილი პასუხობს, რომ ამ ფორმით, მისი ქვეყნის პოპულარიზაციას ეწევა.

საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ვანო მერაბიშვილის ბიოგრაფიაში მითითებულია, რომ მინისტრი ფლობს ინგლისურ ენას. რუსული ენის ფლობაზე მთავრობის გვერდი არაფერს ამბობს, თუმცა იმაში დასარწმუნებლად, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი რუსულად საუბრობს, ის ინტერვიუებია საკმარისი, რომლებიც რუსულენოვან მედიებში ვრცელდება.

იშვიათია ვანო მერაბიშვილის ინტერვიუ ინგლისურ ენაზე. ამერიკულ „ვაშინგტონ პოსტში“, „ნიუ იორკ ტაიმსსა“ და „სი ენ ენ“-ზე, 2010 წლით დათარიღებულ მასალებს მინისტრზე ვერ იპოვით ისევე, როგორც ბრიტანულ „გარდიანსა“ და „ბი ბი სი“-ზე. ბრიტანეთის სამაუწყებლო კომპანია „ბი ბი სი“-ს ოფიციალური ინგლისურენოვანი გვერდი საძიებო სისტემაში ვანო მერაბიშვილს ძებნის, მაგრამ ყველაზე ახალი ინფორმაცია 2009 წლით თარიღდება. ბუშის საქართველოში ვიზიტი, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება, მუხროვანის სატანკო ბატალიონის ინციდენტი და თბილისის მიტინგები ის თემებია, სადაც ვანო მერაბიშვილის კომენტარებს ვხვდებით. დაახლოებით, იგივე მდგომარეობაა „სი ენ ენ“-თან, „ნიუ იორკ ტაიმსსა“ და „ვაშინგტონ პოსტთან“ მიმართებაშიც.“

იმას, რომ მერაბიშვილის X-ფაილი ბურუსითაა მოცული, ერთი გარემოებაც მოწმობს: 2005 წლის 3 თებერვალს, სწორედ მერაბიშვილი იყო ის ადამიანი, რომელმაც, ყოველგვარი გამოძიებისა და ექპერტიზის გარეშე, საზოგადოებას ამცნო, პრემიერი ზურაბ ჟვანია და მისი თანმხლები პირი, რაულ უსუფოვი საბურთალოს ქუჩაზე მდებარე სახლში გაზით გაიგუდნენო. შს მინისტრს, წესით, ასეთი განცხადება არ უნდა გაეკეთებინა და, მინიმუმ, გამოძიების პირველად შედეგს დალოდებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ვანოს რაღაც ამოძრავებდა. სწორედ მერაბიშვილის ეს განცხადება გახდა იმის საფუძველი, რომ ჟვანიას შესაძლო მკვლელობაზე ხმა დღემდე არ მინავლებულა. ასევე, საეჭვო იყო და არის მერაბიშვილის როლი ფოტოგრაფებისა თუ ე.წ. ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმებული სხვა ადამიანების საქმეებში. ზოგი სპეციალისტი ამბობს, რომ რუსი „ჯაშუშების“ დევნით ვანო, უბრალოდ, საკუთარი „ჩრდილოეთური ბეგრაუნდის“ დამალვას ცდილობდა. მართლა ასე იყო თუ არა, ამის თქმა მხოლოდ პოლიტიკურ ღმერთებსა და პოლიტიკური სამოთხიდან განდევნილ ანგელოზებს შეუძლიათ.

ახლა კი დაპირებული ინტერვიუ, რომელიც ჩემს პირად არქივში ინახება და რომელშიც აქცენტი ბევრ საინტერესო დეტალზეა გაკეთებული. აქვე, შეგახსენებთ, რომ რესპონდენტი, რომელსაც რამდენიმე წლის წინ შევხვდი, უშიშროების ორგანოებთანაა დაახლოებული:

„– საერთოდ, ძალიან რთულია, ადამიანს დაუმტკიცო, რომ რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურის წარმომადგენელია. ეს დროში გაწელილი პროცესია და ისე არ ხდება, ნაციონალები ადამიანს აგენტობას ერთ დღეში რომ უმტკიცებდნენ. ოპერატიულად საინტერესო პიროვნებაზე მუშაობა, შეიძლება, რამდენიმე წელიც გაგრძელდეს. თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პიროვნებას უცხოეთის სპეცსამსახურებთან კონტაქტი აქვს, მასზე ოპერატიული აღრიცხვის საქმე იქმნება.

**– „ოპერატიული აღრიცხვის საქმე“ რას ნიშავს?**

– არ შეიძლება, მკითხველმა დეტალები იცოდეს.

**– არც იმას მეტყვით, ვანო მერაბიშვილისა და რუსეთის სპეცსამსახურის ურთიერთობაზე საფუძვლიანი ეჭვი პირველად როდის გაჩნდა?**

– ალბათ, გახსოვთ, მერაბიშვილმა სკანდალური განცხადება ჯერ კიდევ მაშინ გააკეთა, როცა პარლამენტის წევრი იყო და ამ განცხადებით, პრაქტიკულად, მოქკავშირის დაშლა დაიწყო. არ გეგონოთ, რომ მერაბიშვილის მიმართ პირადი წყენა მაქვს... მერაბიშვილი პოლიტიკური მოღვაწეა და მასზე ოპერატიული ინფორმაცია არ იარსებებდა, მაგრამ სპეცსამსახურის თანამშრომლებს საიმისო ცოდნა აქვთ, რომ ადამიანში ის ნიშნები აღმოაჩინონ, რაც საინტერესოა... შეიძლება, დიქცია და გადმოცემის უნარი არ უვარგა, მაგრამ ჯერ კიდევ მოქკავშირში მოღვაწეობისას, საკმაოდ ინფორმირებული იყო. საერთოდ, სხარტი გონების ტიპია და ინფორმაციის მიღება-გადამუშავება, ამასთან, ამ ინფორმაციიდან მთავარის გამოყოფა შეუძლია.

სხვათა შორის, სააკაშვილის ბიძამ, თემურ ალასანიამ ვანო მერაბიშვილი ვიქტორ შეიმანს დააკავშირა. შეიმანი ბელორუსის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი, საბჭოთა უშიშროების ყოფილი თანამშრომელი და „ეფ ეს ბე“-ს ყოფილი ხელმძღვანელის, სერგეი პატრუშევის მეგობარია. შეიმანი, როგორც ვიცი, რუსებთან რუსია, ებრაელებთან – ებრაელი... დიახ, ვამტკიცებ, რომ იარაღით უკანონო ვაჭრობაში ვანო მერაბიშვილიც იყო ჩართული. 2009 წლის თებერვალში, „ბელტრეიდინგმა“ შსს-ს ისეთი საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა შემოუტანა, რომელიც შსს-ს არ სჭირდება. მაგალითად, ფეხოსანთა მინები, ასაფეთქებელი საშუალებები... რაც შეეხება მერაბიშვილის ანტირუსულ ისტერიას, ფილოსოფიაში დაპირისპირებულთა ბრძოლისა და ერთიანობის კანონი არსებობს – იმისთვის, რომ რუსეთმა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში თავისი მიზნები შეასრულოს, შიგნიდან გამაღიზიანებლები სჭირდება. ეს გაღიზიანება კი რიტორიკაზე უნდა იყოს დაფუძნებული ანუ მტკიცების მიუხედავად, დასავლეთისკენ მივდივართო, ნაციონალები რუსეთის საქმეს აკეთებდნენ“...

თათია გოჩაძე
598-43-50-34

# „ეს საქმე არ დამთავრებულა“

## ხუთი წელი დათუნა სარალიძის მკვლელობიდან – ინტერვიუ ზაზა სარალიძის ადვოკატთან

**ხუთი წლის წინ, 2017 წლის 1-ელ დეკემბერს, თბილისში, ხორავას ქუჩაზე, მოზარდებს შორის მომხდარი ჩხუბის დროს, არასრულწლოვნები – დავით სარალიძე და ლევან დადუნაშვილი მოკლეს. ამ საქმეზე, 2019 წლის 3 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გიორგი ჯანაშიამ, დავით სარალიძის მკვლელობა ჩაიდინა ჯგუფურად, სხვა პირთან ერთად. გიორგი ჯანაშიას 11 წლით და 3 თვით პატიმრობა მიესაჯა. პირველი ინსტანციის – თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, გიორგი ჯანაშია დამნაშავედ სცნეს დავით სარალიძის მკვლელობის მცდელობაში და 9 წლითა და 9 თვით პატიმრობა მიუსაჯეს.**

**ლევან დადუნაშვილის მკვლელობისთვის მსჯავრდებულ გუგა ბარბაქაძეს, სააპელაციო სასამართლომ, საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელი – 10 წლით და 6 თვით პატიმრობა – დაუმძიმა და 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან მეორე დღეს, სამართალდამცავებმა დავით სარალიძის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს მიხეილ კალანდია, რომელსაც მანამდე მოწმის სტატუსი ჰქონდა.**

**2020 წლის 25 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიხეილ კალანდია დამნაშავედ სცნო დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობაში და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, სასჯელი ერთი მესამედით შეუმცირა და საბოლოოდ, საპატიმრო სასჯელად განუსაზღვრა 11 წელი და 3 თვე. 21 აპრილს კი თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატამ მიხეილ კალანდია დამნაშავედ სცნო არასრულწლოვანი დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი.**

**დავით სარალიძის განზრახ მკვლელობის ბრალდებით, მოგვიანებით, გიორგი მენაბდეც დააკავეს. დაკავებული დეკანოზ შიო მენაბდის შვილია, რომელსაც დავით სარალიძის მამა სავარაუდო მკვლელებს შორის მოიაზრებდა, თუმცა ამ მიმართულებით, თავდაპირველად, გამოძიება არ დაწყებულა... გიორგი მენაბდე სასამართლომ დამნაშავედ სცნო. მას სასჯელის სახედ და ზომად 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, ის ერთი მეოთხედით შემცირდა და საბოლოოდ, სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წელი და 6 თვე.**

**როგორ აფასებს 5 წლის შემდეგ ხორავას ქუჩის საქმეზე მიღწეულ სამართალს დავით სარალიძის მამის, ზაზა სარალიძის უფლებადამცველი? – „ვერსია“ ნესტან ლონდარიძეს ესაუბრა:**

– ძალიან მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ იმას, რომ სამართალი მიღწეულია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რის შედეგად იქნა მიღწეული. რომ არა ზაზა სარალიძის ასეთი ბრძოლა საქმის დარღვევების გამოსააშკარავებლად, ალბათ, ეს შედეგი არ გვექნებოდა, თუმცა აქვე ხაზგასასმელია – ჩვენ არ ვთვლით, რომ ეს საქმე დასრულებულია. მართალია, საქმეში დანაშაულის ჩამდენი პირები მიეცნენ პასუხისგებაში და მათ მიიღეს კუთვნილი სასჯელი, თუმცა, ალბათ, ეს საკმარისი იქნებოდა იმ დროისთვის, მაშინვე კანონით გათვალისწინებულ ვადებში რომ გამოვლენილიყო, მაგრამ ვინაიდან ასეთი უპრეცედენტო ბრძოლა დასჭირდა იმას, რომ ეს შედეგი მიღწეულიყო, რა თქმა უნდა, არაა საკმარისი. მიგვაჩნია, რომ ყველა ის პირი უნდა დაისაჯოს, ვისი ბრალეულობითაც ეს საქმე აქამდე მივიდა. ამაში ვგულისხმობ სამოხელეო დანაშაულს, ჩვენი ცენტრი, ზაზასთან ერთად, ამ საქმეს ვადევნებთ თვალს და იქამდე არ გავჩერდებით, სანამ გარკვეულ შედეგამდე არ მივალთ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან არ შეიძლება, სამართალი ისევ იმ ხალხის ხელში იყოს, რომლებმაც ამ საქმეზე დარღვევები ჩაიდინეს. თუ იმ პროკურორებს, გამომძიებლებს ახალი საქმეების გამოძიებას მივანდობთ, იმის გარანტია და ნდობა არ გვექნება, რომ მიუკერძოებლად მიუდგებიან და გამოიძიებენ. მათ მიმართ საზოგადოებაში ისედაც მცირე ნდობა არსებობს და ამას სწორედ ის უწყობს ხელს, რომ იმ საქმეებში, სადაც ვლინდება სამოხელეო დანაშაული, არ მახსენდება, ვინმე დასჯილიყო.

ჩვენ თუ მივაღწევთ იმას, რომ გამოვლინდეს და პასუხი აგონ პირებმა, ეს საგამოძიებო სტრუქტურებისადმი საზოგადოების ნდობის აღდგენას შეუწყობს ხელს.

**– როგორც ცნობილია, გიორგი ჯანაშიამ უკვე დატოვა საპყრობილე. მიხეილ კალანდია და გიორგი მენაბდე კი სასჯელს იხდიან...**

– დიახ, გიორგი მენაბდის პროცესი სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობდა და, ალბათ, უზენაეს სასამართლოშიც მოხდება ამ საქმის განხილვა.

**– საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას ბრალი დაუმტკიცდა მკვლელობის მუხლით...**

– დიახ. ჩვენ ვის ქმედებებშიც ვხედავდით სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს, ყველა იმ პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. განსაკუთრებით, ეს ბრძოლა ყველას, ალბათ, მიხეილ კალანდიასთან მიმართებაში ახსოვს. რაც შეეხება ჯანაშიას, რამდენადაც ცნობილია, საპროცესო შეთანხმებას ჰქონდა ადგილი და შემდეგ მან პირობით, ვადამდე ადრე დატოვა დაწესებულება. აქვე, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ბევრი კითხვა არსებობდა, ხომ არ იყო ზაზა სარალიძის წერილობითი თანხმობა. მაშინაც არაერთხელ ვთქვი და ახლაც შემიძლია გავიმეორო დადასტურებულად, რომ ხელმოწერა არც ზაზასი და არც ჩემი, როგორც მისი უფლებადამცველის, ამ საქმეში არ დევს.

ჩემთვის პრიორიტეტი ახლა სამოხელეო დანაშაულია. მართალია, ამ ეტაპზე საზოგადოების წინაშე ისე აქტიურად არ ვჩანვართ, მაგრამ ამაში გარკვეული როლი იმანაც შეიტანა, რომ სპეციალური, მიზანმიმართული ჭორების გავრცელებით შეეცადნენ ზაზა სარალიძის სახელი დაეკავშირებინათ გარიგებებთან და ა.შ. თუმცა, ჩვენი მხრიდან არასწორი იქნებოდა მტკიცება იმისა, რომ ეს ასე არ არის.

ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას და არ ვაპირებთ იქამდე გაჩერებას, სანამ სამოხელეო დანაშაულზეც არ გვექნება სამართლიანი შედეგი.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

# „აჩქარდა და შეცდა!“

## 2022 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები – ვახტანგ ძაბირაძის ანალიზი

**„ვერსია“ 2022 წლის პოლიტიკური მოვლენების შეჯამებას გთავაზობთ. მართალია, ახალ წლამდე ჯერ სამი კვირაა დარჩენილი, მაგრამ ერთად გადავავლოთ თვალი იმ პოლიტიკურად მნიშვნელოვან საკვანძო საკითხებს, რაც საქართველოს ინტერესებისთვის მნიშვნელოვანია. ამ კონტექსტში, უპირველესად, ევროკავშირის მიერ კანდიდატი ქვეყნის სტატუსის საკითხი უნდა ვახსენოთ, როცა ევროპულმა ოჯახმა მოლდოვასა და უკრაინას კანდიდატის სტატუსი გადასცა, საქართველოს კი 12-პუნქტიანი გეგმა შეუდგინა შესასრულებლად, რომლისთვისაც „დედლაინი“ თავდაპირველად – 2022 წლის ბოლო, შემდეგ კი 2023 წლის დეკემბერი დასახელდა. დათქმა ასეთია – თუ საქართველოს ხელისუფლება ამ გეგმას პირნათლად შეასრულებს, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მიიღებს. მეორე მხრივ, შიდაპოლიტიკური პროცესები ქვეყნის ყველაზე მრავალამომრჩევლიანი ოპოზიციური პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ირგვლივ ვითარდება. პარტიაში თავმჯდომარეობისთვის მოქმედი თავმჯდომარე ნიკა მელია და ლევან ხაბეიშვილი იბრძვიან, რისთვისაც მალე შიდაპარტიულ არჩევნებს გამართავენ. როგორც კულუარებში ამბობენ, ხაბეიშვილის უკან ახლა მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი პარტიული ძალა დგას. ასე რომ, როგორც ჩანს, ეს არჩევნები ბევრ რამეს არა მხოლოდ პარტიის, არამედ, ქვეყნის პოლიტიკურ ჭადრაკშიც დიდ როლს შეასრულებს.**

**რა თქმა უნდა, წლის მთავარი მოვლენებიდან უკრაინის ომი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. უკრაინაზე რუსეთის სამხედრო თავდასხმამ მსოფლიო პოლიტიკურ კონფიგურაციაში ბევრი რამ შეცვალა და ყველაფერი ეს, საქართველოზეც პირდაპირ თუ ირიბად აისახება...**

**წლის მთავარი პოლიტიკური მოვლენების ანალიზისთვის „ვერსიამ“ ვახტანგ ძაბირაძეს მიმართა:**

– ეს წელი იყო ძალიან მნიშვნელოვანი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ, მსოფლიოსთვის, რადგან ამ წელს დაიწყო... არ მინდა, მსოფლიო ომი ვთქვა, მაგრამ არც შორს ვართ იმისგან, რაც დღეს უკრაინაში ხდება.

ქართულ პოლიტიკას რაც შეეხება, ისევ და ისევ გრძელდება დაპირისპირება. შარლ მიშელის დოკუმენტის მიღება და შემდეგ მასზე უარის თქმა... შემდეგ ყველაფერი გადაერთო იმ ჭრილში, რასაც უკრაინის მოვლენები და სააკაშვილის პრობლემა ჰქვია. ეს თემები მუსირებდა, ძირითადად, ქართულ პოლიტიკურ და მედიასივრცეში და დღესაც იგივე რჩება, რადგან ქართული პოლიტიკური სპექტრი ვერ ახერხებს ან არ უნდა, რომ გამოვიდეს იმ მოჯადოებული წრიდან, რომელზეც მუდმივად ვტრიალებთ. იმედი მაქვს, სააკაშვილთან დაკავშირებით იქნება გადაწყვეტილება მიღებული და ეს ერთი თემა მაინც მოიხსნება ქართულ ოპოზიციურ სპექტრსა და ხელისუფლებას შორის მომავალი წლისთვის, თუმცა ალბათ, ახალი თემები მოიძებნება, რომ დაპირისპირება გაგრძელდეს. არ ველოდები დეპოლარიზაციას, რადგან გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ პოლარიზაცია მხოლოდ პოლიტიკურ სპექტრს ეხება. ორივე მხარემ ხატზეც რომ დაიფიციოს პოლარიზაცია დასრულდებაო, ასე მაინც არ მოხდება, რადგან პოლარიზაცია თან სდევს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას, ბოლო 30 წელი და უფრო მეტიც.

**– ბატონო ვახტანგ, მოჯადოებულ წრეზე სიარულში რას გულისხმობთ?... მნიშვნელოვანია ქვეყნის მთავარ ოპოზიციურ პარტიაში მიმდინარე პროცესებიც, სადაც შიდაპარტიულ არჩევნებს გეგმავენ. შეცვლის პოლიტიკურ სიტუაციას ენმ-ში დაწყებული ეს პროცესი?**

– მოჯადოებულ წრეზე როცა ვსაუბრობ, ვგულისხმობ ხელისუფლებათა ცვლილებებს, რომელსაც არაფერი მოაქვს და ისევ იმ ჭაობში ვრჩებით, სადაც ვიყავით. ენმ და „ქართული ოცნება“ ბევრი არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ჩემი შეფასებით, ენმ-ს აგრესიული ავტორიტარიზმი ჰქონდა, „ოცნებას“ კი პასიური აქვს. ორივე ერთსა და იმავე სივრცეში რჩება, რასაც ხატოვნად გამოხატავს სასამართლოს მიმართ დამოკიდებულება, სხვა პრობლემებთან ერთად.

რაც შეეხება ენმ-ში მიმდინარე პროცესებს, თუ ჯანსაღი პროცესი წავა, ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით. ვერ ჩავთვლი, რომ წინა არჩევნები ასეთი იყო, როცა მელია და ვარშალომიძე უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ახლა კი საკმაოდ რეალური დაპირისპირებაა, რადგან ახლა მელიასა და ხაბეიშვილის უკან არ დგას მხოლოდ ერთი კაცი. მაშინ სააკაშვილმა გადაწყვიტა, რომ მელიას გაემარჯვა. დღეს პარტიაში გუნდებია გამოკვეთილი და თუ არჩევნები რეალური კონკურენციის ფარგლებში ჩატარდება, ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი პარტიული პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით.

**– ლევან ხაბეიშვილის უკან სააკაშვილის მხარდამჭერ ძალას მოიაზრებენ. როგორ ფიქრობთ, არჩევნებში მისი გამარჯვება უფრო გაამწვავებს პოლარიზაციას? ქუჩის აქციები, მწვავე პოლიტიკური პროცესები გველოდება?**

– მელიამ განაცხადა, თუ სასამართლო სააკაშვილის მიმართ იმ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, რისი იმედიც ენმ-ში აქვთ, ყველაფერი ძველებურად ვერ იქნებაო ანუ ფაქტობრივად, ქვეტექსტი იგივეა, რომ ქუჩის პროტესტი იქნება და ა.შ. ამ მიმართებაში, ვერ ვიტყვი, რომ ხაბეიშვილი მელიაზე უფრო აქტიური იქნება ქუჩის პროტესტში. ზოგადად, საინტერესოა, რატომ დაიწყო დაჩქარებული პროცესი არჩევნებისთვის და რატომ ცდილობს ხაბეიშვილის მხარე, რომ არჩევნები სწრაფად ჩაატაროს. მელიას მხარე კი პირიქით – ცდილობს, არჩევნებამდე დრო გააჭიანუროს. თუ გავითვალისწინებთ არა მხოლოდ სააკაშვილის მომხრეთა პოზიციას, არამედ, კლინიკა „ვივამედის“ მედპერსონალის განცხადებებსაც, რომ სააკაშვილი წონაში იკლებს, ამასთან, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების განცხადებებს და პოზიციას, არ გამოვრიცხავ, ძალიან მალე გადაწყდეს სააკაშვილის სამკურნალოდ წაყვანა საზღვარგარეთ.

**– ეს პოლიტიკურად რას შეცვლის?**

– ეს შეცვლის ენმ-ის არჩევნების შედეგს. თუ არჩევნებამდე მოესწრება ეს, მაშინ ხაბეიშვილის გუნდს ხელიდან გამოეცლება მთავარი კოზირი, რომ მელიამ არაფერი გააკეთა სააკაშვილის დასახსნელად. თუ ეს მოხდა, გამოდის, რომ მელია და მისი გუნდი სწორად აფასებდნენ სიტუაციას და შედეგიც მიიღეს სააკაშვილის გადაყვანასთან დაკავშირებით, რაც ხაბეიშვილის გუნდს მთავარ კოზირს გამოაცლის. თუ იმ თეზისს დავუბრუნდებით, რომ წესიერად ჩატარდება არჩევნები, მაშინ სრულფასოვანი საარჩევნო კამპანიის გათვალისწინებით, ერთი თვე მაინც ექნებათ საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. ასე რომ, იანვრის ბოლომდე, არჩევნების ჩატარება ფორმალობა იქნება.

**– ბატონო ვახტანგ, ამ წლის მთავარ მოვლენად ჩვენი ქვეყნის ევროპული პერსპექტივის გარშემო მიმდინარე პროცესიც უნდა დავასახელოთ. როგორ ფიქრობთ, ევროკავშირის დიდი ოჯახის კანდიდატი წევრის სტატუსს მომავალ წელს მივიღებთ?**

– მგონია, რომ დასავლეთი აჩქარდა და შეცდა, რადგან ვფიქრობ, ჩვენთვისაც უნდა მოეცა ეს სტატუსი, მაგრამ დაგვიტოვეს სავალდებულო 12-პუნქტიანი გეგმა, რომელიც მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა შეესრულებინა ხელისუფლებას. როდესაც ნახეს, რომ ვერ წარიმართა ყველაფერი ისე, როგორც წარმოედგინათ, კიდევ ერთი წელი დაგვიმატეს, რათა ჭკუაზე მოვიდეთ ჩვენ, ან რაღაც შეიცვალოს უკრაინაში, რომ შემდეგ უფრო ადვილად მიიღონ გადაწყვეტილება. მგონია, ოპოზიცია შეცდა, როცა თქვა, რომ არ მიიღებდა მონაწილეობას ხელისუფლების მიერ შექმნილ კომისიებში. ხელისუფლება რასაც ახლა აკეთებს, ძალიან ჰგავს ქართულ ჟურნალისტიკას – სათაური გიზიდავს, მაგრამ ტექსტში ისეთი არაფერი წერია. დაახლოებით, ამ თამაშს თამაშობს „ქართული ოცნება“.

**– ისე, სათაური უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში და როგორც ჩანს, „ოცნებამ“ სწორი თამაში აირჩია...**

– თუ ქვეყნის შიგნითაა საუბარი, სწორად თამაშობს, მაგრამ ვინც დაინტერესებულია და წერა-კითხვა იცის, კითხულობს კიდეც, რა დაწერეს 12-პუნქტიან გეგმაში. იმ პოლიტიკიდან გამომდინარე, რასაც „ოცნება“ აწარმოებს, ეს სწორი ნაბიჯია, რადგან დროის გაწელვას ცდილობენ. „ოცნებაც“ და ჩვენი პარტნიორებიც შეთანხმებულები არიან, რომ ეს პროცესი გაგრძელდეს მომავალი წლის დეკემბრამდე. როგორი იქნება შედეგი, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება პროცესები უკრაინაში.

**– უკრაინის ომზე რა მოლოდინი გაქვთ?**

– რამდენადაც ომის დასრულება უნდათ მხარეებს, ეს არც ისე ადვილია. ვფიქრობ, სამწუხაროდ, ომი გაგრძელდება, ვნახოთ, როგორ გადაიტანს ამ ზამთარს უკრაინა. ალბათ, გახსოვთ, ჩვენ უარეს დღეში ვიყავით, არც შუქი გვქონდა, არც – გაზი, არც – პური, მაგრამ გავუძელით, გადავიტანეთ. უკრაინა ამას გადაიტანს, მაგრამ მნიშვნელობა იმას აქვს, თუ როგორი იქნება დასავლეთის პოზიცია. დასავლეთში სერიოზულად აცნობიერებენ, რომ ახლა უკან დახევა და პუტინისთვის დათმობა ნიშნავს, ახალი ომის წამოწყებას. გათვლა იმაზე, რომ პუტინის ხელისუფლება შეიცვლება, ვერ იქნება შედეგის მომტანი, რადგან თუ ხელისუფლების ცვლილება იმავე რეჟიმში განხორციელდა, მნიშვნელობა არ აქვს, პუტინი იქნება თუ სხვა ვინმე. იმპერიული რუსეთი უნდა დამარცხდეს და ამას დასავლეთი ხედავს. თუ გავითვალისწინებთ, რა მასშტაბითაც ეხმარება დასავლეთი უკრაინას, ვფიქრობ, ყველაფერი ისე დამთავრდება, როგორც უნდა დასრულდეს. ომი დამთავრდება არა მარტო უკრაინის გამარჯვებით, არამედ, რუსული იმპერიალიზმის დასრულებით.

# კომერციული ბანკებისთვის მოგების გადასახადი 15%-დან 20%-მდე იზრდება?

## რატომ თქვა უარი ირაკლი ღარიბაშვილმა „ესტონურ მოდელზე“

მაკა რუხაძე

**კომერციული ბანკებისთვის მოგების გადასახადი იზრდება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ბანკები და საფინანსო სექტორი მოგების გადასახადის „ესტონურ მოდელზე“ აღარ გადავლენ. მათთვის მოგების გადასახადის არსებული სისტემა შენარჩუნდება, რაც ნიშნავს, რომ 15%-ის ნაცვლად, 20%-ს გადაიხდიან. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობამ ეს გადაწყვეტილება კომერციულ ბანკებთან კონსულტაციების შედეგად, ერთობლივად მიიღო, ხოლო ფინანსთა მინისტრმა დააზუსტა – მოგების გადასახადი კი არ იზრდება, თურმე, პირიქით – მცირდება.**

პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, რომ წლის ბოლოს, კომერციული ბანკების სუფთა მოგება 2 მილიარდი ლარი იქნება, რაც გაუმართლებელია. მისივე თქმით, ამ გადაწყვეტილებით, 2024 წლიდან, სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი შემოსავალი გაჩნდება.

**„მინდა, ძალიან მოკლედ გითხრათ, რომ ეკონომიკური საბჭოს ფორმატში, ჩვენ გვქონდა განხილვა და რამდენიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას გავაცნობ საზოგადოებას, მათ შორის, ბიზნესსა და საბანკო სექტორს. პირველ რიგში, დავიწყებ იმით, რომ საფინანსო სექტორისთვის მივიღეთ შემდეგი გადაწყვეტილება – ბანკები და საფინანსო სექტორი აღარ გადადიან მოგების გადასახადის ეგრეთ წოდებულ ესტონურ მოდელზე. მათთვის შევინარჩუნებთ მოგების გადასახადის არსებულ სისტემას და „ესტონური მოდელის“ ჩანაწერი გაუქმდება. ამ ინიციატივით შევდივართ პარლამენტში იმიტომ, რომ გაუმართლებელია, ბანკებს ამხელა მოგება აქვთ, 2 მილიარდი ლარი იქნება ბანკების მოგება წელს, წლის ბოლომდე, 2 მილიარდი ლარი, სუფთა მოგება. მოგების გადასახადი ბანკებისთვის იქნება 20%, ნაცვლად 15%-ისა და ამით ჩვენ დამატებითი შემოსავლების მიღებას ვვარაუდობთ 2024 წლიდან“,** – განმარტა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, მოგების გადასახადს ბანკები გადაიხდიან ფინანსური აღრიცხვების ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც აქამდე, ასე არ ხდებოდა. რაც მთავარია, მთავრობა აფასებს ბანკების პოზიტიურ როლს ეკონომიკის ზრდაში. ღარიბაშვილის განცხადებით, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ძალიან განვითარებული საბანკო სისტემა გვაქვს – ორი მსხვილი ბანკი ლონდონის საფონდო ბირჟაზეა. მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა პრემიერის გადაწყვეტილება შეაფასა. ლევან დავითაშვილის განმარტებით, მთავრობამ ეს გადაწყვეტილება საბანკო სექტორთან ერთად მიიღო:

**„ნებისმიერი საგადასახადო გადაწყვეტილება, რომელსაც სახელმწიფოები იღებენ, არის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. ინსტრუმენტები, ამა თუ იმ დარგის ხელშეწყობისა და წახალისებისთვის. ჩვენ ვხედავთ, რომ საბანკო სექტორი დღეს არის წამყვანი და ძლიერი. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ საამაყო სექტორია. როგორც პრემიერმაც აღნიშნა, ქართული ბანკები არიან ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიერ-ლიგაში ანუ ისინი უმაღლეს სტანდარტებს აკმაყოფილებენ მმართველობისა და გამჭვირვალობის კუთხით. დღეისთვის ვხედავთ, რომ საბანკო სექტორი განვითარებულია. „ესტონური მოდელი“ საშეღავათო მოდელია, რომელიც ბანკებს არ სჭირდებათ. ამაზე მკაფიოდ იყო კომუნიკაცია ბანკებთან. ეს იყო გადაწყვეტილება, რომელიც ბანკებთან კომუნიკაციის შედეგად მივიღეთ. ეს ობიექტურ რეალობას ეფუძნება და არ არის სუბიექტური გადაწყვეტილება. ამიტომ, ლოგიკა არის მკაფიო და ცალსახა“,** – განაცხადა დავითაშვილმა.

ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა პრემიერის ინიციატივასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოგების გადასახადი კომერციული ბანკებისთვის კი არ იზრდება, პირიქით – მცირდება. მისი თქმით, დივიდენდის გადასახადი, რომელიც ამჟამად 5%-ია, ნულდება.

**„ორი გადასახადის გაერთიანებით, გადასახადის განაკვეთი იგივე ოდენობაზე რჩება. ეს ნიშნავს, რომ დივიდენდის 5%-იანი გადასახადი გადავა მოგების გადასახადში, რომელიც 15%-ია და გახდება 20%. ეს იქნება 2023 წლიდან და შესაბამისად, 2023 წლის მოგებას შეეხება. დივიდენდის გადასახადს კომპანია დივიდენდის გატანის შემთხვევაში იხდის, ხოლო მოგების გადასახადს – მოგების მიღების დროს“,** – აღნიშნა ლაშა ხუციშვილმა.

2016 წელს, პარლამენტმა მიიღო რეფორმა „ესტონური მოდელის“ შემოღების შესახებ, 2017 წლის 1 იანვრიდან კი მისი განხორციელება დაიწყო. როგორც თავის დროზე ითქვა, „ესტონური მოდელის“ დანერგვის მიზანი ეკონომიკის ზრდის ტემპის დაჩქარება იყო. ამ მოდელის ფარგლებში, კომპანია იბეგრება იმ შეთხვევაში, თუ მოგება გადის, მაგრამ თუ ეს მოგება კომპანიაშივე რჩება, მაშინ ამ თანხაზე მოგების გადასახადს არ იხდის. ამით მთავრობა კომპანიას ახალისებს, რომ თანხა, რომლის აკუმულირებაც მან მოახერხა, ბიზნესის გასაფართოვებლად და განსავითარებლად, კომპანიაში დარჩეს.

წლების წინ, როდესაც პარლამენტს ეს ინიციატივა უნდა განეხილა, გაცხადდა, რომ ეს შეღავათი საფინანსო სექტორს 2019 წლიდან შეეხებოდა, თუმცა მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს პროცესი 2023 წლამდე გადავადდა.

# ჩვენი დროის „გრინჩების“ იაფფასიანი პერფორმანსი – შავი ლენტები საახალწლო ნაძვის ხეზე

მაკა რუხაძე



**4 დეკემბერს, თავისუფლების მოედანზე, ნაძვის ხის გარშემო, მოძრაობა „დროას“ წევრებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა კონსტრუქციის მიმდებარე ჯებირებს შავი ლენტები შეაბეს. „დროას“ ლიდერმა, ელენე ხოშტარიამ განაცხადა, რომ ამ ფორმით, მწუხარება გამოთქვეს 3 დეკემბერს, უკრაინის ქალაქ ბახმუტში, ხუთი ქართველი მებრძოლის დაღუპვის გამო. ხოშტარიას თქმით, იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გმირულად დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად გლოვის დღე არ გამოაცხადა, „დროას“ აქტივისტებმა საკუთარი პოზიცია მშვიდობიანი ფორმით დააფიქსირეს...**

**„დროას“ ლიდერს არც სხვა ოპოზიციონერები ჩამორჩნენ და საქმე იქამდეც კი მივიდა, სოციალური ქსელის საშუალებით, ლამის, საახალწლო ღონისძიებების გაუქმებაც კი მოითხოვეს. „ვერსია“ სამძიმარს უცხადებს უკრაინაში დაღუპული გმირების ოჯახის წევრებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვებს საახალწლო ზეიმი და მხიარულება ჩავუშხამოთ და მით უმეტეს, წავართვათ. შორს, ისტორიულ წიაღსვლებში რომ არ წავიდეთ, 1991 წლის 21 დეკემბერს, შუა რუსთაველზე დაწყებული ყველაზე სამარცხვინო და ტრაგიკული ძმათამკვლელი ომი გავიხსენოთ – 1992 წლის 1 იანვრის ღამეს, საახალწლო ზეიმი ეგრეთ წოდებული „ბუნკერის“ ტელევიზითაც კი გადასცეს. ამიტომ, გამართლება არ აქვს, საახალწლო ნაძვის ხისთვის შავი ლენტების შებმას, მით უფრო – საახალწლო ზეიმის გადადებას...**

**ვიდრე ჩვენი დროის „გრინჩები“ იაფფასიანი პერფორმანსებით „გვანებივრებენ“, უკრაინაში დაღუპული ქართველი გმირების ოჯახებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიუსამძიმრა, პოლიტიკოსების ამაზრზენ საქციელს კი „ამორალური ფარისევლობა“ უწოდა...**

**ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ დავუშვათ, ელენე ხოშტარიას 1991-1992 წლების ამბები არ ახსოვს, 2008 წლის აგვისტოს ომი კი აშკარად უნდა ახსოვდეს, თუმცა თუ პოლიტიკური ამნეზია აქვს, პრობლემას ახლავე გადავჭრი, შევახსენებ, რომ ზუსტად მაშინ, როდესაც აგვისტოს ომში დაღუპული ჩვენი გმირი ბიჭების ცხედრებს მატლები ეხვია (მადლობა ღმერთს, საქართველოს პატრიარქმა და რამდენიმე მეუფემ გადმოასვენეს ცხედრები კონფლიქტის ზონიდან და პატივით დაკრძალეს), 12 აგვისტოს, რუსთაველზე, პარლამენტის წინ, გრანდიოზული კონცერტი გაიმართა. სხვათა შორის, არც 2009 წლის ახალ წელს ჩაუვლია ისე მოკრძალებულად, როგორც ტერიტორიებდაკარგულ და ახლადომგამოვლილ ქვეყანას შეეფერებოდა. მეტსაც გეტყვით, ზუსტად 2006-2010 წლების საახალწლო და ქალაქგაფორმების ღონისძიებებისთვის თბილისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობა შეისწავლა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2014 წელს და ისეთი დარღვევები გამოავლინა, რომ აუდიტის ანგარიში გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. ცხადია, ეს ანგარიში „ვერსიაში“ დეტალურად 2014 წელსვე განვიხილეთ, თუმცა იმის გამო, რომ მაშინდელ თანამდებობის პირებს, რომლებიც დღეს ოპოზიციაში არიან, პოლიტიკური სკლეროზი დაემართათ, იძულებული ვარ, მცირეოდენი შემოკლებით, ძირითადი დარღვევები გავახსენო.**

## როგორ აღნიშნა ნაციონალურმა მოძრაობამ აგვისტოს ომის შემდეგ, 2009 წლის ახალი წელი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა, რომელიც 2014 წელს მთავარ პროკურატურაში გადაიგზავნა

### ხარვეზები საახალწლო ილუმინაციების შესყიდვაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2006-2010 წლებში, საახალწლო ღონისძიებებთან დაკავშირებული ილუმინაციებისა და სხვა აქსესუარების შესყიდვებში, ძირითადად, შუამავალი ფირმები (მომწოდებლები) მონაწილეობდნენ. ცალკეულ შემთხვევებში, სახელმწიფო ტენდერებში, ერთმანეთთან დაკავშირებული იურიდიული და ფიზიკური პირები მონაწილეობდნენ. ამის გამო, არაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების, მიწოდებული საქონლისა და სამუშაოების ფასების მაღალ დონეზე ხელოვნურად შენარჩუნების, ასევე, ფირმებს შორის წინასწარი გარიგებების შესაძლებლობებისთვის მომეტებული რისკის საფრთხე გაჩნდა.

2006-2010 წლებში, საახალწლო ილუმინაციების შესყიდვებზე გამოცხადებულ ტენდერებში სატენდერო დოკუმენტაცია, ჩვეულებრივ, ორ-სამ პრეტენდენტს შეჰქონდა, მაგრამ რეალურად, ტენდერში მხოლოდ ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა. ამის გამო, ტენდერით შესაძენი საქონლისა და სამუშაოს სავარაუდო ღირებულება, რომელიც შემსყიდველის მიერ წინასწარ იყო განსაზღვრული, პრაქტიკულად, არ მცირდებოდა...

2009 წლის შობა– ახალი წლისთვის, საახალწლო ილუმინაციების შესყიდვის მიზნით, 2008 წელს გამოცხადებულ ტენდერში, სატენდერო დოკუმენტაცია სამმა პრეტენდენტმა – შპს „ჩიბიმ“, შპს „ოქსინომ“ და შპს „არტ ლაინ თრეველმა“ წარადგინეს, სატენდერო წინადადება კი მხოლოდ შპს „ჩიბიმ“ შეიტანა. შესაბამისად, 2008 წლის 11 ნოემბერს, ტენდერში გამარჯვებულად შპს „ჩიბი“ გამოცხადდა. „ჩიბიმ“ ტენდერის სავარაუდო ფასთან შედარებით, 112 400 ლარით ნაკლები დააფიქსირა და იმავე წლის 27 ნოემბერს, ამ კომპანიასთან ხელშეკრულება გაფორმდა. შპს „ჩიბიმ“ 1 214 100 ლარის ღირებულების საახალწლო ილუმინაციები საქართველოში, ამავე ტენდერში მონაწილე ერთ-ერთი პრეტენდენტისგან, შპს „არტ ლაინ თრეველისგან“ შეიძინა. სინამდვილეში, შპს „ჩიბიმ“ საახალწლო ილუმინაციები „არტ ლაინ თრეველისგან“ 1 126 500 ლარად იყიდა, მაგრამ თბილისის მერიას 1 241 100 ლარად მიაწოდა.

აუდიტით დადგინდა, რომ „ჩიბის“ მიერ, მერიისთვის მიწოდებული 385 700 ლარის ღირებულების 9 დასახელების, სხვადასხვა საახალწლო კონსტრუქციები თბილისში, ადგილობრივმა კომპანიებმა – შპს „პროცესორმა“, შპს „მერწყული 7“-მა და „3 MG“-მა დაამზადეს. ამ კომპანიებს „ჩიბიმ“ 105 700 ლარი გადაუხადა! ამ შესყიდვების შედეგად, „ჩიბის“ მოგების მარჟა 16.6% იყო. 2010 წლის შობა-ახალი წლისთვის, საახალწლო ილუმინაციების შესყიდვის მიზნით, 2009 წლის 28 ივლისს გამოცხადებულ ტენდერში, სატენდერო დოკუმენტაცია ორმა კომპანიამ – შპს „კრედომ“ და შპს „ნებიმ“ წარადგინა, სატენდერო წინადადება – შპს „კრედომ“. 2009 წლის 19 აგვისტოს, სატენდერო კომისიის გადაწყვეტულებით, ტენდერში გამარჯვებულად შპს „კრედო“ გამოვლინდა, რომელმაც სავარაუდო ფასთან შედარებით, 800 ლარით ნაკლები ღირებულება დააფიქსირა. ამ შესყიდვის შედეგად, შპს „კრედოს“ მოგების მარჟა 26% იყო. 2011 წლის შობა-ახალი წლისთვის, საახალწლო ილუმინაციების შესყიდვის მიზნით, 2010 წლის 13 ივლისს გამოცხადებულ ტენდერში, სატენდერო დოკუმენტაცია წარადგინეს შპს „საქართველოს საფინანსო კომპანიამ“, შპს „თ.ფ“-მ, შპს „ბასიანმა“ და შპს „სითი ლაითმა“.

*დასასრული მე-8 გვერდზე*

# ჩვენი დროის „გრინჩების“ იაფფასიანი პერფორმანსი – შავი ლენტები საახალწლო ნაძვის ხეზე

*მე-7 გვერდიდან*

ამ კომპანიებიდან სატენდერო წინადადება შპს „სითი ლაითმა“ წარადგინა, რომელიც 2010 წლის 10 აგვისტოს, ტენდერში გამარჯვებულად გამოაცხადეს. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ შპს „სითი ლაითი“ 2010 წლის 23 ივლისს ანუ ტენდერის გამოცხადებიდან, 10 დღის შემდეგ დაფუძნდა, რაც ნიშნავს, რომ 13 ივლისს, სატენდერო წინადადება წარადგინა კომპანიამ, რომელიც ჯერ კიდევ დაფუძნებული არ ყოფილა! შესყიდვის შედეგად, შპს „სითი ლაითის“ მოგების მარჟა 21.4% იყო.

## უხარისხო გირლანდები და დეკორატიული ნაძვის ხეები

ვიდრე უშუალოდ 2009 წლის დარღვევებს განვიხილავთ, აუდიტის დასკვნის ამ ნაწილში, მნიშვნელოვანია პრეისტორია. ამიტომ, მივყვეთ თანმიმდევრობით: 2006 წლის 22 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ა.ნ.ი“-მ, ხელშეკრულების გაფორმებიდან სამ დღეში ანუ 2006 წლის 25 დეკემბერს, დაამზადა და თბილისის მერიას მიაწოდა 415 200 ლარის ღირებულების 44 ცალი საშობაო პავილიონი (ერთი ცალი პავილიონის საშუალო ფასი – 9 043 ლარი). 2007 წლის 24 დეკემბერს, შპს „ა.ნ.ი“-მ, მერიასთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით, 44 პავილიონიდან, მხოლოდ 29 ცალი პავილიონი აღადგინა. ამ პავილიონებიდან, 2008 წელს, 12 ერთეული შპს „ზოოლოგიურ პარკს“ გადასცეს. თბილისის მერიის მიერ დაქირავებულმა დამოუკიდებელმა აუდიტორმა – შპს „კომპაუდმა“, ეს პავილიონები 32 900 ლარად შეაფასა. ამავე კომპანიის ანგარიშის მიხედვით, 2008 წელს მოქმედი საბაზრო ფასებით, თითოეული ასეთი პავილიონის დამზადებას 4 100 ლარი დასჭირდებოდა. აუდიტორული კომპანიის მიერ შეფასებული ერთეული პავილიონის დამზადების ფასსა და მისი შესყიდვის ფასს შორის სხვაობა კი 5 033 ლარი იყო.

2007 და 2009 წლებში შესყიდული 20 პავილიონიდან, თითოეულის დამზადების ღირებულება, შესაბამისად, 20 300 ლარი და 21 300 ლარი გახლდათ. სახელმწიფო აუდიტები ასკვნიან, რომ ყოველწლიურად, თბილისის მერია დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრებს ხარჯავდა და ამიტომ ფიქრობენ, რომ მერიას ასეთი შესყიდვები საერთოდ არ უნდა განეხორციელებინა. მეტიც, ასეთი სახის სავაჭრო პავილიონები მერიის ბალანსზე არც კი უნდა ყოფილიყო, ამ ტიპის საქმიანობა კერძო სექტორს უნდა განეხორციელებინა, რადგან სწორედ კერძო სექტორია დაინტერესებული საკუთარი პროდუქციის რეკლამითა და რეალიზაციის მოცულობის გაზრდით.

2007 წელს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტზე დეკორატიული საახალწლო ნაძვის ხის მონტაჟზე, დემონტაჟსა და მხატვრული მინათების სამუშაოებზე, თბილისის მერიამ 453 300 ლარი, 2008 წელს – 215 500 ლარი, 2009 წელს – 144 200 ლარი, ხოლო 2010 წელს – 131 800 ლარი დახარჯა. 2007 წლის 13 დეკემბრის ხელშეკრულებით, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, შპს „აპრიორისგან“, თბილისის მერიამ 189 300 ლარის ღირებულების მომსახურება შეისყიდა. ამ ფასად, შპს „აპრიორმა“, თავისუფლების მოედანზე, დეკორატიული ნაძვის ხის მხატვრული მინათების სამუშაოები შეასრულა. მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებული საქონლის ჩამონათვალიდან ირკვევა, რომ თბილისის მერიამ, შპს „აპრიორისგან“, 88 000 ლარის ღირებულების მანათობელი გირლანდები შეისყიდა. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ამ გირლანდების საწყობში განთავსება არ ფიქსირდება და ისინი არც ბუღალტრულად აღურიცხავთ. გირლანდების მონტაჟის მიზნით, 5 დღის მანძილზე, მემონტაჟე მუშებს, მათ შორის, მთამსვლელების შრომის ჩათვლით, ხელფასის სახით, 32 000 ლარი გადაუხადეს, რაც დღეში 6 400 ლარი გამოდის. 2007 წლის 13 დეკემბრის ხელშეკრულებით, თბილისის მერიამ, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, შპს „დავითი და კომპანიისგან“ 270 100 ლარის მომსახურება მიიღო. ამ კომპანიამ თავისუფლების მოედანზე, დეკორატიული საახალწლო ნაძვის ხის, ასევე, საკონცერტო სცენის მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოები შეასრულა. 2008 წელს, შობა-ახალი წლის ღონისძიებებისთვის, თბილისის მერიამ შპს „დავითი და კომპანიას“ თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტზე დეკორატიული ნაძვის ხის მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოებში 24 000 ლარი გადაუხადა. მომდევნო წლებში, თბილისის მერია შპს „თბილქალაქგანათებას“ ყველანაირ ტრანსპორტზე, მათ შორის, ამწეზეც, რომლებითაც კომპანიას მონტაჟის, დემონტაჟისა და მხატვრული მინათების სამუშაოები უნდა შეესრულებინა, 9 000 ლარს უხდიდა. 2008 წლის 9 დეკემბრის ხელშეკრულებით, თბილისის მერიამ შპს „თბილქალაქგანათებას“ 183 800 ლარი გადაუხადა. კომპანიამ თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტზე, დეკორატიული საახალწლო ნაძვის ხის კონსტრუქციებისა და მისი მხატვრული მინათების სამუშაოები შეასრულა. შპს „თბილქალაქგანათებამ“, თბილისის მერიას, 49 400 ლარის ღირებულების, 14 100 მეტრის უხარისხო გირლანდები მიაწოდა, რომლებიც დემონტაჟის შემდეგ ჩამოწერეს და გაანადგურეს!

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ 2008, 2009 და 2010 წლებში, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტზე დეკორატიული ნაძვის ხის მონტაჟის, დემონტაჟისა და მხატვრული მინათების სამუშაოებს შპს „თბილქალაქგანათება“ ერთი და იგივე ფასად (?!) ასრულებდა.

## საახალწლო კონცერტები და განათება-გახმოვანება

2007 წლის 13 დეკემბერს, თბილისის მერიამ, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, შპს „არტ ჯისთან“ სცენების განათება-გახმოვანებაზე ხელშეკრულება გააფორმა. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ შპს „არტ ჯი“ 2007 წლის 5 დეკემბერს ანუ მერიასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე 8 დღით ადრე დაფუძნდა და სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა.

2008 წლის საახალწლო ღონისძიებების მოსაწყობად, შპს „არტ კომპანისა“ და შპს „არტ ჯისგან“, მერიამ საკონცერტო სცენების განათებისა და გახმოვანების (ცოცხალი შესრულება) მიზნით, 556 100 ლარის ღირებულების მომსახურება შეიძინა. ეს თანხა, 14 დღის მანძილზე, ოთხ სხვადასხვა ადგილზე კონცერტების განათება-გახმოვანებით უზრუნველყოფას მოიცავდა. გახმოვანების მომსახურების მიზნით გამოცხადებულ ტენდერზე, შპს „არტ კომპანიმ“, მის ხელთ არსებული, გახმოვანების აპარატურის მატერიალური ბაზა წარადგინა, რომელიც ამ კომპანიას „ინვალიდთა ლიგიდან“ უსასყიდლო იჯარით ჰქონდა აღებული.

2009 წლის 4 ნოემბერს გამოცხადებულ ტენდერში, რომლის სავარაუდო ღირებულება 99 900 ლარი იყო, ორი კომპანია – შპს „არტ ჯი“ და შპს „არტ კომპანი“ მონაწილეობდა. სხვათა შორის, ორივე კომპანიას ერთი და იგივე დამფუძნებელი ჰყავს. მართალია, სატენდერო დოკუმენტაცია ორივე კომპანიამ შეიტანა ტენდერზე, მაგრამ შპს „არტ ჯის“ სატენდერო წინადადება აღარ წარუდგენია. შესაბამისად, მხოლოდ ერთი პრეტენდენტი – შპს „არტ კომპანი“ დარჩა, რომელმაც ეს ტენდერი 99 500 ლარით მოიგო. აღსანიშნავია ფასთა კოტირებით განხორციელებული შესყიდვა, რომლის დროსაც, 2009 წლის 24 დეკემბერს, შესყიდვის მასალები სამ ფირმას – შპს „საუნდ სითის“, შპს „არტ ჯისა“ და შპს „არტ კომპანის“ გაუგზავნეს იმის მიუხედავად, რომ ბოლო ორ კომპანიას ერთი და იგივე მფლობელი ჰყავდა.

2006-2010 წლებში, საახალწლო ღონისძიებებისთვის გამოყენებული სასცენო კონსტრუქციებით მომსახურებაზე (სცენა, პლატფორმა, ტრიბუნა) განხორციელებული შესყიდვების მთლიანი ღირებულება 859 800 ლარი იყო. 2006-2009 წლებში, თბილისის მერია სასცენო კონსტრუქციის მომსახურებას მხოლოდ შპს „ა.ნ.ი“-სგან იძენდა, 2010 წელს კი შპს „ა.ნ.ი & CO“-სგან, არადა, ორივე კომპანიას ერთი და იგივე დამფუძნებელი ჰყავს. სასცენო კონსტრუქციის მომსახურების ღირებულება ფართობის მიხედვით იყო განსაზღვრული. ხელშეკრულების მიხედვით, 1 კვადრატული მეტრი სცენისა და პლატფორმის ფასი 160-410 ლარის ფარგლებში მერყეობდა. 2007-2011 წლებში, შობა-ახალი წლის საახალწლო ილუმინაციების მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოებზე დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება 4 761 ლარი იყო, რომლის 94% შპს „თბილქალაქგანათებაზე“ მოდიოდა.

# სამართალი

№48 7 დეკემბერი 2022 წ


# „პედერასტია, მე პირადად მწოვდა!“

## პუტინმა „ვაგნერის“ ხელმძღვანელისა და პირადი „მზარეულის“ განდგურების გადაწყვეტილება მიიღო?!

ბათო ჯაფარიძე


**რუსმა ბიზნესმენმა, ევგენი პრიგოჟინმა სამხედრო ბატალიონი „ვაგნერი“ შექმნა, დაჯგუფება, რომელშიც მხოლოდ პატიმრები არიან გაერთიანებულნი. ჰო, პატიმრებს მოუწოდეს, რომ თუ „ვაგნერში“ ჩაირიცხებიან, უკრაინის წინააღმდეგ იბრძოლებენ, ამნისტია შეეხებათ და ვადაზე ადრე გაუშვებენ. მოწოდებამ გაჭრა – პრიგოჟინის არმიაში ასეულობით კრიმინალი გაერთიანდა. და მაინც, ვინ არის პრიგოჟინი, რომელსაც ამდენის უფლება მისცეს?**

ის რუსეთში „პუტინის მზარეულის“ მეტსახელითაა ცნობილი. სანკტ-პეტერბურგში რესტორნების ქსელი ჰქონდა და რამდენჯერმე დაევალა, მოემზადებინა საკვები რუსეთში ჩასული სხვა სახელმწიფოს მეთაურებისთვის. ეს საქმე იმდენად კარგად გამოუვიდა, რომ პუტინისთვისაც დაიწყო სადილების მომზადება. ასე გახდა ნასამართლევი და ყოფილი კრიმინალი პრიგოჟინი პუტინთან არათუ ერთ-ერთი დაახლოებული პირი, არამედ, ადამიანი, რომელიც ბევრ რამეს წყვეტდა. მეტიც, ამერიკელი პროკურორი რობერტ მიულერი მოხსენებაში წერდა, რომ პრიგოჟინი ერთ-ერთი იყო იმ ბიზნესმენებიდან, რომელიც ცდილობდა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევას, „ტროლების ქარხანაც“ ჰქონდა, რომელსაც აფინანსებდა და ეს „ქარხანა“ 250 ათას „ტროლს“ მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე ითვლიდა. ის იმდენად ეფექტიანად მართავდა ამ ყველაფერს, რომ რუსეთშიც ჩაფიქრდნენ, რა მოხდებოდა, თუ პრიგოჟინი მოინდომებდა და ამ „ქარხანას“ უკვე რუსეთის წინააღმდეგ აამუშავებდა? ამიტომ, აღნიშნული პროექტი შეაჩერებინეს, თუმცა მანამდე, მან მოასწრო და სოციალურ ქსელში დიმიტრი მედვედევი გააშავა, რასაც მისი პრემიერობიდან გაშვება მოჰყვა და როგორც ამბობენ, ეს პირადად პუტინის დაკვეთა იყო. რეალურად რომ ვიმსჯელოთ, დამოუკიდებლად პრიგოჟინი ვერ გაბედავდა მედვედევის წინააღმდეგ წასვლას.

სხვათა შორის, თავის დროზე, როცა პუტინი იტალიის პრემიერ სილვიო ბერლუსკონის რესტორანში შეხვდა, ოფიციანტმა მოახერხა და მათი საუბრის რამდენიმე დეტალი მოისმინა, რაც პრიგოჟინს უთხრა. ამ უკანასკნელმა კი პუტინს მიაწოდა ინფორმაცია და აშკარად გარისკა, თუმცა იქვე დასძინა, რომ ამ გზით შეეძლო, სხვებზეც ინფორმაციის მიღება და პუტინი ამას დათანხმდა.

ისევ „ვაგნერს“ დავუბრუნდეთ. ბატალიონი, რომელიც უკრაინაში უსასტიკესი მეთოდებით იბრძვის, სკანდალში ცოტა ხნის წინა გაეხვა. საქმე ის გახლავთ, რომ ერთ-ერთმა პატიმარმა, ვინმე ევგენი ნუჟნიმ, რომელიც აღნიშნულ ბატალიონში გაერთიანდა, უკრაინაში შესვლისთანავე იარაღი დაყარა და მოწინააღმდეგეს ჩაბარდა. უკრაინულმა მხარემ ის ვიდეოზე ჩაწერა, სადაც ნუჟნი დეტალურად მოჰყვა, რომ სწორედ ეს ჩანაფიქრი ჰქონდა – უკრაინელების წინააღმდეგ ბრძოლას არ აპირებდა და რაც მთავარია, მოჰყვა იმ სასტიკ მეთოდებზე, რომლითაც „ვაგნერის“ მებრძოლები ტყვეებს უსწორდებოდნენ. მათი მთავარი სადამსჯელო იარაღი გახლდათ ურო, რომლითაც ტყვეებს თავის ქალას უმტვრევდნენ. მაშინ ეს ბევრმა არ დაიჯერა, მაგრამ მალე, ევგენი ნუჟნის კიდევ ერთი ვიდეო გავრცელდა – ის ბნელ სარდაფში ჰყავდათ ჩამწყვდეული, ნიღბიანმა ადამიანებმა თქვეს, რომ მოღალატეებს ასე ექცევიან და მას თავის ქალა... ეროთი ჩაუმტვრიეს, შემდეგ კი მისი სხეული... კიევის ცენტრში დააგდეს. როგორც უკრაინული მედია იუწყება, ნუჟნი სწორედ კიევიდან გაიტაცეს, გარეუბანში „ვაგნერის“ მებრძოლებმა აწამეს და შემდეგ, სხვების დასაშინებლად, გვამი ქუჩაში დააგდეს. ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ უკრაინელებისთვის მაინცდამაინც კარგი არ უნდა იყოს, რომ დედაქალაქში „ვაგნერმა“, პრაქტიკულად, სპეცოპერაცია ჩაუტარა.

ევროპარლამენტში „ვაგნერის“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადების შესაძლებლობაზე მსჯელობენ და ძალიან დიდი ალბათობით, ამას გააკეთებენ კიდეც, თუმცა ისე ჩანს, რომ პრიგოჟინს ეს საერთოდ არ ადარდებს და ევროპარლამენტში ვიოლინოს ქეისიც გააგზავნა საჩუქრად, შიგნით კი... სისხლში მოსვრილი ურო იდო. როგორც ჩანს, ეს თავხედური სვლა თავად პუტინსაც არ მოეწონა, რადგან პრიგოჟინის საქციელს ძალიან ცუდი გამოხმაურება მოჰყვა. ჰოდა, რუსეთის პრეზიდენტმა პრიგოჟინის მოშორება გადაწყვიტა, მაგრამ ეს არცთუ მარტივი იქნება, რადგან მას ახლა უზარმაზარ ფინანსებსა და გავლენასთან ერთად, კარგად შეიარაღებული, თავზეხელაღებულთა არმიაც ჰყავს, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელი და თუ პრიგოჟინი უბრძანებს, არც მოსკოვის შტურმზე დაიხევს უკან. ამიტომ, პუტინმა ჯერ არმიის დაშლა და დემორალიზება გადაწყვიტა. სწორედ ამის გამოძახილია ბოლო დროს, სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეო. ჯერ იყო და, ყოფილ პატიმრებს „კანონიერმა ქურდმა“ „გრიშა მასკოვსკიმ“ მოუწოდა, პრიგოჟინის გვერდში ნუ დგახართო, ახლა კი... რამდენიმე დღის წინ, კრიმინალური ავტორიტეტის, საკმაოდ გავლენიანი „საშა კურარას“ ვიდეო გავრცელდა, რომელშიც ის დეტალურად ჰყვება პრიგოჟინის წარსულს და მისი დროშის ქვეშ გაერთიანებულებს არა მარტო ფიზიკური განადგურებით, არამედ, ოჯახების ამოწყვეტით ემუქრება.

სტენოგრამა 5-წუთიანი ვიდეოდან, რომელიც უხამს ელემენტებსაც შეიცავს, ასეთია:

„დღე მშვიდობისა, პატიმრებო. მშვიდობა და სიკეთე ჩვენს ოჯახს. მე საშა ვარ, კრიმინალურ სამყაროში „საშა კურარად“ მიცნობენ. მინდა, „გრიშა მასკოვსკის“ მოწოდებას შევუერთდე და ჩემი მხრიდან დავამატო. მინდა, გამცნოთ, რომ კონკრეტულად, ევგენი პრიგოჟინთან ერთად, სასჯელს ვიხდიდი. ჰოდა, ის პედერასტია... ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით – პედერასტი. პრიგოჟინს ჰქონდა თავისი ადგილი ზონაზე, იცოდა ეს ადგილი და თანახმა იყო ამ ადგილზე. ახლა კი თქვენ, რომლებიც მიდიხართ ბატალიონ „ვაგნერში“, თქვენ ერთიანდებით პედერასტის დროშის ქვეშ ანუ თქვენ გხელმძღვანელობთ პედერასტი. თქვენ თავს უთანაბრებთ პედერასტს... არა, კი არ უთანაბრებთ, უფრო დაბლა ეშვებით. პრიგოჟინი პირადად მე მწოვდა და მწოვდა იმიტომ, რომ ასე ვერთობოდით. გახსოვს, ჟენია, ეს ამბავი? გაიხსენე, შე ქათამო... გცემდნენ, როგორც უკანასკნელს... ახლა კიდევ რას აკეთებ? ცდილობ, პროცესები მართო? მაგრამ არა, პრიგოჟინზე არ მაქვს საუბარი, თქვენ მოგმართავთ, ვინც მას მიჰყვებით – თქვენც პედერასტები ხართ. პედარასტიც რომ არ იყოს პრიგოჟინი, გაიხსენეთ, რა მოხდა 1945 წელს, სამამულო ომის დროს. ვინც მაშინ აიღო იარაღი ხელში და ომში წავიდა, ხომ გახსოვთ, რა დაემართათ? ახლა კი... ახლა თქვენ ქათამი გმეთაურობთ, ქათამი, რომელსაც სპერმის კუდი მოუჩანს კბილებიდან. თქვენ კი მისი დროშის ქვეშ გაერთიანებულები მიდიხართ ქალებისა და ბავშვების დასახოცად...

ყველას დაგხოცავთ... ყველას... თქვენ, რომლებიც ზონაში, სავარაუდოდ, საერთო მაგიდასთან ისხედით, ახლა ამის უფლება აღარ გექნებათ იმიტომ, რომ ვეღარ შეცვლით ვერაფერს. 50 წლის ვარ, აქედან 24 წელი ციხეებში მაქვს გატარებული და ყოველი ახალი „სროკის“ შემდეგ ვფიქრობდი, რომ გამოვალ, ცხოვრების წესს შევცვლი. ვერ შევცვალე, ვერც თქვენ შეცვლით და ადრე თუ გვიან, ისევ ციხეში დაბრუნდებით. აი, მერე რას ფიქრობთ? მერე რა ბედი გელით? თქვენ ხომ ჩვეულებრივი ქათმები იქნებით, რომლებიც პედერასტის დროშის ქვეშ გაერთიანდით? როგორ გგონიათ, დაგეხმარებათ ეს ქათამი? მე, „საშა კურარას“, პირადად მწოვდა პრიგოჟინი, მზად ვარ, შევხვდე და პირში ვუთხრა ეს, ოღონდ, ნეიტრალურ ტერიტორიაზე, მაგალითად, თურქეთში. ნებისმიერ დროს შევხვდები...

იფიქრეთ იმაზე, რა გელოდებათ... იმაზეც იფიქრეთ, რა ელოდება თქვენს ოჯახებს. ჩვენ მოვალთ თქვენს ოჯახებში, გაგძარცვავთ, ცოლებსა და შვილებს აგიტირებთ, შვილიშვილებსაც... გიფიქრიათ ამაზე? იმიტომ, რომ თქვენ არამზადები ხართ, არამზადები, რომლებიც გაჰყევით ქათამ პრიგოჟინს და „ფეესბეშნიკ“ პუტინს... გაჰყევით, რათა დახოცოთ ნორმალური ადამიანები. თავს დაესხით ნორმალურ ქვეყანას. თქვენ ამნისტიასა და ვადაზე ადრე გათავისუფლებას ელით? ამის ნაცვლად, უკანალში მიიღებთ... ზიზღს მიიღებთ... თქვენი შვილების, თქვენი ოჯახის ტანჯვას მიიღებთ. გავაკეთებთ იმას, რაც კრიმინალურ სამყაროს არ გაუკეთებია. ყველანი პედერასტები ხართ, რომლებიც „ვაგნერში“ ჩაეწერეთ. მზად ვარ, თქვენც შეგხვდეთ, თურქეთში... ნებისმიერს... და თუ ვერ მოვახერხებ ყელი გამოგჭამოთ, წაგკუზავთ.... მე ყველა სიტყვაზე პასუხისმგებელი ვარ – კიდევ გავიმეორებ, პრიგოჟინი პედერასტია, მე პირადად მწოვდა!“

როგორც ვარაუდობენ, ეს მოწოდება „ვაგნერის“ მებრძოლებზე აუცილებლად აისახება და ბევრი მათგანი დაყრის იარაღს, რათა პირველ რიგში, საკუთარი ოჯახის უსაფრთხოებაზე იზრუნოს... მეორე მხრივ, ეს პრიგოჟინისთვის პირდაპირი მინიშნება იქნება, რომ ის საჭირო აღარ არის და შესაძლებელია, მოკლან კიდეც. ახლა, ერთადერთი გამოსავალი დასწრებაა – თუ პრიგოჟინი იმდენს მოახერხებს, რომ „ქილერმა“ თავად „საშა კურარა“ გაანეიტრალოს, მაშინ მას მებრძოლებისთვის სათქმელი ექნება, თქვენს გვერდით ვარო, მაგრამ რუსეთში გადაწყვეტილებებს ერთადერთი კაცი იღებს და თუ ის მოინდომებს, რომ პრიგოჟინისთვის ყველაფერი დასრულდეს, აუცილებლად დასრულდება.

# ბანკის თანამშრომლის რიტუალური მკვლელობა

## „მამაკაცის წვერი თეფშზე იყო დამწვარი, ამოჭრილი ენის ნაწილი კი – კედელზე ლურსმნით მიჭედებული“

ბათო ჯაფარიძე

**მიმდინარე წელს, საბანკი სექტორს უკვე ორ მილიარდიანი მოგება აქვს. ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს ძალიან დიდი ციფრია, რადგან ამ თანხის 70%-ზე მეტი პროცენტის გადასახადზე მოდის. რეალურად, საქართველოში ბანკებს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პროცენტი აქვთ, იგივე, ევროპასთან შედარებით. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ავსტრიაში ბანკის პროცენტი, მაქსიმუმ, 3-ია, ესპანეთში – 4-დან 6-მდე, ინგლისში კი, საერთოდ, 2%-ზე მუშაობენ. ჩვენთან კი, გირეკავს ოპერატორი და გთავაზობს სესხს ეფექტური 17%-ით და შემდეგ ეს ციფრი ისე სცდება 50-ს, როგორც არაფერი. წესითა და რიგით, ბანკის თანამშრომლებს სხვებისგან განსხვავებული მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ეს ქვედა რგოლს არ ეხება – მაღალი ჯამაგირი მხოლოდ ხელმძღვანელობას აქვს, ქვედა რგოლს კი ისე, როგორც სხვაგან, მხოლოდ იმდენი, საარსებოდ რომ ეყოს.**

„ერთ-ერთი ბანკის თანამშრომელი გარდაცვლილი ნახეს და მაშინვე პანიკა ატყდა. პანიკა იმის გამო კი არ იყო ატეხილი, რომ ახალგაზრდა კაცი იყო მოკლული, არამედ იმის გამო, რომ ის მარტო ცხოვრობდა, ნაქირავები ბინა ჰქონდა და... ბანკიდან დიდი კრედიტი ჰქონდა მიღებული. პარალელურად, ბანკთან გაფორმებულ კონტრაქტში მას ეწერა, რომ სამსახურს არ მიატოვებდა იქამდე, ვიდრე კრედიტს არ დაფარავდა. ამით ბანკმა ორი კურდღელი დაიჭირა – კრედიტი გასცა და სარგებელს აუცილებლად მიიღებდა და პროფესიონალი თანამშრომელიც „დააბა“. ბანკის მმართველი ყველაფერს ანგრევდა, ეს რა დაგვემართა, ახლა კრედიტს ვინ დამიფარავსო. საუბარი, დაახლოებით, 50 ათას ლარზე იყო, რომლის კვალიც სახლში ჩხრეკის შედეგად ვერ ვნახეთ“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ გარდაცვლილს წვერი ჰქონდა აპარსული, რომელიც იქვე, თეფშზე იყო დამწვარი, ხოლო ამოჭრილი ენის ნაწილი – კედელზე, ლურსმნით მიჭედებული. ყველაფერი ეს ძალიან, ძალიან ჰგავდა რაღაც რიტუალურ მკვლელობას, მაგრამ ვის რაში სჭირდებოდა ბანკის რიგითი თანამშრომელი? თანაც, ის თითქოს არც რამე სექტაში იყო შემჩნეული და მეგობრებიც ამბობდნენ, რომ რიგითი მარტოხელა ახალგაზრდის ცხოვრებას ეწეოდა – იკვებებოდა, ძირითადად, გარეთ. მართალია, მეგობარი გოგონაც ჰყავდა, მაგრამ მას არცერთი მეზობელი და არცერთი თანამშრომელი არ იცნობდა, რადგან სწორედ ამ გოგოსთან რჩებოდა ხოლმე და სახლში არ მოჰყავდა. სამომავლოდ გამდიდრებას აპირებდა და... არავინ იცოდა, რაში სჭირდებოდა თანხა, რომელიც, პრაქტიკულად, მონური პირობებით მიიღო და რაც მთავარია, სწორედ ამ პირობების გამო, ის ვერ წავიდოდა სამსახურიდან რამდენიმე წლის განმავლობაში და ვერც პრეტენზია ექნებოდა ხელფასის მომატებაზე.

„ყველაფერი ეს ჯადოქრის ბრალია. ჰო, ჯადოქრის, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა, ჩვენი ბანკის თანამშრომლებს გადაეკიდა და მის ყველა სურვილს უსიტყვოდ ასრულებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მათ დისტანციურად გუდავს და თუ არ დათანხმდებიან, მართლა კლავს. ეს რამდენიმე ადამიანმა საკუთარ თავზე უკვე გამოსცადა, ხმამაღლა ვერ ამბობენ, ვერც ჩივიან, რადგან იციან, რომ ჯადოქარს ყველაფერი გათვლილი აქვს და მათ დისტანციურად დახოცავს“, – როცა გამომძიებელს ეს სიტყვები ბანკის რისკების განყოფილების ერთ-ერთმა მთავარმა გამწევმა ძალამ უთხრა, სამართალდამცავმა გაოცებისგან პირი დააღო. იმიტომ კი არა, რომ ჯადოქრის უძლეველობის ირწმუნა, არამედ იმიტომ, რომ ვიღაცას ასეთი სისულელის სჯეროდა და ის ვიღაც, ბანკში საპასუხისმგებლო პოზიციაზე მუშაობდა, თუმცა ყველაზე საინტერესო წინ იყო. პირები, რომლებიც ჯადოქარს ჰყავდა გავლენის ქვეშ მოქცეულები, დაკითხვაზე დაიბარეს.

„ეს იყო სრული კატასტროფა, ადამიანთა დაშტერების თუ დაჰიპნოზების ტიპური შემთხვევა. ზრდასრული კაცები და ქალები საუბრობდნენ იმაზე, რომ ჯადოქარი დისტანციურად ახერხებდა მათთვის სასუნთქი გზების გადაკეტვას და ისინი, უბრალოდ, გონების დაკარგვამდე მიდიოდნენ. შემდეგ კი, როცა მის პირობას თანხმდებოდნენ, ეს ხუთვები სადღაც ქრებოდა. რაც მთავარია, პრაქტიკულად, ყველა მათგანი დარწმუნებული იყო, რომ ჯადოქარი... მოკლული თანამშრომელი გახლდათ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ის, რომ ჯანმრთელობის პრობლემები რეალურად ექმნებოდათ, დასაჯერებელი იყო, რადგან ამას გრძნობდნენ, მაგრამ როგორ ან რანაირად შეიძლებოდა დისტანციურად ხუთვის გამოწვევა? ამიტომ, გამოძიებამ გადაწყვიტა და ყველას, ვინც თავს ჯადოქრის მსხვერპლად თვლიდა, სისხლის ანალიზი აუღო. გასარკვევი იყო, ხომ არ მოიხმარდნენ ისინი რამე პრეპარატს, რომელიც ყველაფერ ამას იწვევდა. დაკითხვის დროს, არავინ არაფერი თქვა, ყველა მხრებს იჩეჩდა, რა პრეპარატი და რა შეგნებულად წამლის მიღებაო? ყველაფერთან ერთად, სამართალდამცავები მაქსიმუმს აკეთებდნენ, რომ ამბავი არ გახმაურებულიყო, რადგან სარიტუალო მკვლელობა მაინცდამაინც სასიამოვნო მოსასმენი არაა და შესაძლებელი გახლდათ, თუნდაც იმ უბანში, სადაც დანაშაული მოხდა, პანიკა დაწყებულიყო, ან ვინმეს ეთქვა, რომ მანიაკი გამოჩნდა, რაც ძიებას ხელს შეუშლიდა.

ექსპერტიზის დასკვნაში ეწერა, რომ ყველა მათგანს სხეულში ჰქონდა წამალი, რომელიც სუნთქვის პრობლემებს იწვევს. უფრო ზუსტად, ორი პრეპარატი, რომელთა ერთმანეთთან ზემოქმედებას სასუნთქი გზების დახშობა მოჰყვება, მაგრამ როგორც წესი, ამ პრეპარატებს არცერთი ექიმი ერთად არ ნიშნავს, ახლა კი, რამდენიმე ადამიანს ერთდროულად ჰქონდა არათუ დანიშნული, არამედ, მიღებული კიდეც. ახლა საჭირო იყო იმის გარკვევა, ხომ არ ჩაიტარეს ბანკის თანამშრომლებმა კვლევები ერთდროულად და თუ ჩაიტარეს, სად? თუმცა, ბანკში მისულებმა გაარკვიეს, რომ მათ ხელშეკრულება ჰქონდათ ერთ-ერთ კლინიკასთან, რომელიც კორპორატიულად ემსახურებოდა და თანამშრომლები სხვა კლინიკებს, უბრალოდ, არ აკითხავდნენ. გაირკვა ისიც, რომ ჯადოქრის მსხვერპლნი პროცედურაზე ერთსა და იმავე ექიმთან, ახალგაზრდა გოგონასთან დადიოდნენ. ამ გოგონას ყველა დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა და მართლაც, ამბობდნენ, რომ საოცარი ექიმი იყო, რომელიც ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, პაციენტებში უდიდესი ნდობით სარგებლობდა.

სამართალდამცავებმა მისი გარემოცვის შესწავლა დაიწყეს. გოგოს მშობლები ადრე დაეღუპა, როდესაც 4 წლის იყო და ბიძამ გაზარდა. სკოლის დამთავრებისას, ბიძაც დაეღუპა და სულ მარტო დარჩა, თუმცა სამედიცინოზე ჩააბარა. ყველა აღიარებდა, რომ უნიჭიერესი იყო და რასაც მიაღწია, მხოლოდ საკუთარი შრომისმოყვარეობისა და ნიჭის წყალობით. გამორიცხული იყო, რამე შეშლოდა და პრეპარატები ერთმანეთში არეოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შეგნებულად გადაწყვიტა ბანკის თანამშრომლების მოწამვლა, მაგრამ, რატომ?

„მოკლული ბიჭის სურათი ექიმის მეზობლებს ვანახეთ და მათ დაგვიდასტურეს, რომ ეს ახალგაზრდა მამაკაცი გოგონას არცთუ იშვიათად სტუმრობდა და ისინი მალე დაქორწინებას აპირებდნენ. წრე შეიკრა, მაგრამ მიზეზი და საბაბი იმისა, რის გამო შეიძლებოდა ახალგაზრდა, პერსპექტიული ექიმი ასე მოქცეულიყო, არ არსებობდა. თანაც, ჩვენ, პრაქტიკულად, მტკიცებულებები არ გვქონდა, მაგრამ ის კი უკვე ზუსტად ვიცოდით, რომ გოგონა სქემის ნაწილი იყო და ჯადოქრის შესახებ არათუ ყველაფერი იცოდა, არამედ, მას აქტიურად ეხმარებოდა კიდეც“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

რაც მთავარია, ჯადოქარი ბანკის თანამშრომლებს არ სთხოვდა ფულს ან სხვა მატერიალურ სიკეთეს. ის ითხოვდა, რომ მათ ზიანი მიეყენებინათ ბანკისთვის ანუ ბანკს რომ ეზარალა – გაკოტრებულიყო, ფული დაეკარგა და ვერავინ ხვდებოდა, ამას რისთვის ითხოვდნენ. სამართალდამცავებმა ექიმის ბინის ჩხრეკის ორდერი აიღეს და შინ საღამო ხანს დაადგნენ. გოგონა ძალიან მშვიდად შეხვდა პოლიციელებს და სახლის ჩხრეკის უფლება მისცა, მაგრამ სავარაუდოდ, არ ელოდა, რომ ნივთების ძებნის გარდა, თითის ანაბეჭდებსაც აიღებდნენ და სწორედ ამ თითის ანაბეჭდებით დაამტკიცეს, რომ გარდაცვლილი ბინაში ნამყოფი იყო. ექიმის კაბინეტის ჩხრეკის შემდეგ კი დადგინდა, რომ პრეპარატები, რომლებსაც ბანკის თანამშრომლები იღებდნენ, მასთან ინახებოდა და ის... კონკრეტულ დროს ასმევდა, როგორც ახალ, ულტრათანამედროვე ვიტამინებს.

„თქვენ იცით, ჩემი მშობლები რატომ დაიღუპნენ? ამ ბანკის კრედიტი აიღეს, შემდეგ, როგორც შევარდნაძის დროს ხდებოდა, საქმეში ქურდები ჩაერივნენ და ჩემი მოკვლით დაემუქრნენ. მშობლებმა, უბრალოდ, ხელი ჩასჭიდეს ერთმანეთს და სახურავიდან გადახტნენ. მე ასე გადავრჩი. მას შემდეგ, ეს ბანკი მძულს და ვცდილობდი, როგორმე, შური მეძია. შანსი მაშინ მომეცა, როცა ჩვენი კლიენტები გახდნენ. ის შტერი შეგნებულად გავიცანი, ეგონა, მასზე მზე და მთვარე ამომდიოდა. მერე გეგმაც გავუზიარე და დამთანხმდა. ეგონა, რომ ჯერ საბანკო ოპერაციებს გავაკეთებინებდით, მერე კი დიდ ფულს გადავარიცხინებდით საზღვარგარეთ და გავიქცეოდით. როცა აღარ მომასვენა, საკმარისია, წავიდეთო, უბრალოდ, შემომაკვდა, ხელი ვკარი და ცუდად დაეცა. სარიტუალო ელფერის მიცემა ამის შემდეგ მოვიფიქრე. კრედიტიც იმ მიზნით აიღო, რომ გავიქცეოდით და ფულს არავინ მოსთხოვდა. ზუსტად ვიცოდი დრო, როცა პრეპარატი იმოქმედებდა, მე კარგი ექიმი ვარ და სწორედ მაშინ ვარეკინებდი „ჯადოქარს“, რომელიც საუბარს 5-7 წუთის განმავლობაში წელავდა, ამის შემდეგ პრეპარატი მოქმედებას წყვეტდა. ვნანობ თუ არა ჩადენილს? ვნანობ იმას, რომ ბანკი ვერ გავანადგურე“, – განაცხადა ექიმმა.

ბათო ჯაფარიძე

**საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა კომფორტული ახლაც არ არის. პრაქტიკულად, ყველა ავტობუსი თუ სამარშრუტო ტაქსი გადატვირთულია, სავსეა მეტროსადგურებიც და განსაკუთრებით, პიკის საათში, იქ ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებს. შესაძლოა, ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ დედაქალაქს უარესიც ახსოვს – იყო პერიოდი, როცა საზოგადოებრივი ტრანსპორტი, უბრალოდ, არ დადიოდა და თუ დადიოდა, ტროლეიბუსებისა თუ ავტობუსების უკანა მხარეს, ათობით ადამიანი იყო ჩამოკიდებული, რათა როგორმე დანიშნულების ადგილამდე მისულიყო. სამარშრუტო ტაქსების როლს რუსული „რაფი“ ასრულებდა, რომელსაც ძრავი პირდაპირ სალონში ედო და ზაფხულობით, დამატებითი სურნელის გარდა, ეს სიცხის წყაროც იყო. გაგრილების სისტემა კი... ამაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო და თუ რომელიმე „საბჭოთა მარშუტკას“ გაგრილების სისტემა მუშა მდგომარეობაში ჰქონდა, მძღოლი მას ნამდვილად არ იყენებდა...**

# რატომ და როგორ მოკლეს ცნობილი არქიტექტორი

## დამნაშავის სკანდალური აღიარებითი ჩვენება

„სწორედ ეს პერიოდი იყო, როცა ქალმა მოგვმართა, ქმარი დავკარგეო. სამწუხაროდ, მაშინ ბევრი ადამიანი იკარგებოდა და ეს არ გვიკვირდა, მაგრამ ძალიან იშვიათად, რომ დაკარგულთა შორის მშრომელი ხალხი ყოფილიყო. ძირითადად, კრიმინალურ გარჩევებს ეწირებოდა ხალხი. რა თქმა უნდა, იყო შემთხვევები, როცა ყველაფერში შემთხვევით რიგითი ადამიანებიც ხვდებოდნენ, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად. ახლაც საქმე სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვქონდა – არქიტექტორი, რომელიც მძიმე დროების მიუხედავად, მუშაობას არ წყვეტდა და მცირე შეკვეთებს იღებდა, სახლში მუშაობდა. ჰოდა, ერთი სერიოზული შეკვეთა ჰქონდა, 2 ათას დოლარს უხდიდნენ და მაშინ ეს თანხა, ოროთახიანი (შეიძლება, სამიანიც) ბინა იყო ვარკეთილში. ცოლმა შვილი მშობლებთან წაიყვანა, ქმრისთვის მშვიდად მუშაობის საშუალება რომ მიეცა, პარასკევს წავიდა, კვირას დაბრუნდა და შესასვლელში სისხლის გუბე დახვდა, ქმარი კი შინ არ იყო“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გამომძიებლები და ექსპერტები შემთხვევის ადგილზე გავიდნენ. ქალს ეყო ჭკუა და ხელი არაფერს ახლო, პირდაპირ მილიციაში წავიდა. სახლი არეული იყო, რაღაცას ეძებდნენ, მაგრამ წაღებული არაფერი გახლდათ, საქორწინო ოქროს რგოლიც კი იქვე, ლარნაკში, ღია ადგილზე იდო, მაგრამ მისთვის ხელი არავის უხლია. ნახეს მამაკაცის ისტორია იმ საავადმყოფოში, სადაც აღრიცხვაზე იმყოფებოდა და დაადგინეს, რომ სისხლი მისი იყო. სისხლი ეცხო კარსაც და იატაკზე, სისხლის გუბეში კბილის ნატეხიც იპოვეს. სამართალდამცავებმა ერთხმად თქვეს, კაცმა კარი რომ გააღო, იქიდან კარს წიხლი მიარტყეს, რის შემდეგაც კარის კუთხე მას სახეში მოხვდა, დიდი ალბათობით, ცხვირი გაუტეხა და უამრავი სისხლიც ამის ნიშანი იყო, მაგრამ რას ეძებდნენ? ქალმა არცთუ რთული სამალავიდან, დანაზოგიც გამოიღო, დაახლოებით, 300 დოლარი ანუ იმაზეც კი ხელი არ იყო მოკიდებული. ეს ერთადერთ რამეს ნიშნავდა – თავდამსხმელები ეძებდნენ უფრო ძვირფასს, ვიდრე 300 დოლარი და ოქროს ბეჭედი იყო, მაგრამ დაკარგული კაცის მეუღლე ამბობდა, სახლში არაფერი გვქონდა, რა უნდა მოეძებნათო და ისიც გაიხსენა, რომ ბოლო სამი დღის განმავლობაში, სახლთან „რაფი“ იმდენად საეჭვოდ იდგა, რომ მისი ყურადღება მიიპყრო და მეტიც, ქალმა მანქანის ნომერიც კი ჩაიწერა. ჰო, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ქალი წუხდა, ქმრის ავადმყოფობა იყო. მას მუდმივად სჭირდებოდა გულის მკვებავი, არცთუ იაფი აბები, რომლებიც მათ ჰქონდათ, თუმცა ისინიც ხელუხლებელი იდო ლარნაკში ანუ ქმარმა წაიღო მხოლოდ 3-4 აბი, რომელიც მუდმივად ჯიბეში ჰქონდა და როცა აბების მიღების დრო მოუწევდა, შესაძლებელი იყო, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა ჰქონოდა.

სამართალდამცავებმა „მარშუტკის“ ძებნა დაიწყეს და ძალიან გაუკვირდათ, როცა მას ერთ-ერთ საჯარიმო სადგომზე მიაგნეს. მისი დათვალიერების შემდეგ, ერთ-ერთი სავარძლის ქვეშ, ერთი ცალი აბი იპოვეს, ის აბი, რომელზეც ქალი საუბრობდა და მიხვდნენ, რომ მამაკაცი სწორედ ამ მანქანით წაიყვანეს. ანაბეჭდები ყველგან საგულდაგულოდ იყო გაწმენდილი, რაც საქმეს უფრო ართულებდა. დაიწყო არქიტექტორის გარემოცვის შესწავლა, მაგრამ ამაოდ – მას მტერი, უბრალოდ, არ ჰყავდა და გარდა იმისა, რომ ყველა დადებითად ახასიათებდა, სახლიდან, უბრალოდ, არ გადიოდა. ბოლო შემკვეთის ვინაობითაც დაინტერესდნენ, მაგრამ ის აღმოჩნდა ბიზნესმენი, რომელმაც ავანსი გადაუხადა და შეკვეთის დასრულებას მოუთმენლად ელოდა ანუ მის ინტერესებში არქიტექტორისთვის მუშაობაში ხელის შეშლა ნამდვილად არ შედიოდა.

„ერთი დღეც არ იყო გასული, მოქალაქეებმა ქალაქის გარეუბანში, ტყის პირას, ახალი მიწაყრილი ნახეს, რომელსაც ძაღლები დასტრიალებდნენ. ახლოს რომ მივიდნენ, მიწიდან ადამიანის ხელი ჩანდა. მაშინვე გათხარეს, ეგონათ, ცოცხალი იყო, მაგრამ მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ. შემთხვევის ადგილზე გავედით და მივხვდით – დაკარგულ არქიტექტორს მივაგენით. ცოლმაც ამოიცნო და გულიც წაუვიდა, იმის თქმა კი მოასწრო, ბედნიერება არ მეღირსაო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გამომძიებლებმა უკვე იცოდნენ, რომ არქიტექტორი ქალისთვის მეორე ქმარი იყო და გოგონაც მას პირველი ქორწინებიდან ჰყავდა. ასაკში სხვაობა კი გახლდათ, მაგრამ ყველა ამბობდა, იდეალური ცოლ-ქმრობა ჰქონდათ, ქალი ქმარს თან ჰყვებოდა, გოგონას კი კაცი შვილივით უვლიდაო. ამასობაში, გამოჩნდა მეზობელი, რომელმაც განაცხადა, რომ „მარშუტკაში“, რომელიც მათ უბანში იდგა, ხან ორი მამაკაცი იმყოფებოდა, ხან – სამი და მან შეძლო სამივეს ფოტორობოტი შეედგინა.

ფოტოგრაფიული მეხსიერება მაქვსო, იჩემებდა და მართლაც, საოცარი დეტალები ახსოვდა. როცა გარდაცვლილი არქიტექტორის მეუღლეს ფოტოები ანახეს, მან ერთ-ერთს დაადო ხელი და ჩუმად ჩაილაპარაკა – ჩემი ყოფილი ქმარია. სამართალდამცავებმა მასზე ძებნა გამოაცხადეს და ამასობაში, ექსპერტიზის გამაოგნებელი დასკვნაც მიიღეს. ექსპერტი ამტკიცებდა, მამაკაცი არც გულის შეტევით მოკვდა, არც – მოკლეს, მას 3-4 დღის წინ, მკლავში ინექცია გაუკეთეს, რამაც ორგანიზმში ღვიძლის ფუნქციების მუშაობა შეაჩერა და საბოლოოდ, ფატალური შედეგი გამოიწვია. არქიტექტორს ექიმებისთვის დროზე რომ მიემართა, მკურნალობა შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ... ინექციის შესახებ ცოლმა არაფერი იცოდა.

გამომძიებლებმა ყოფილი მეუღლის ბინის ჩხრეკის ორდერის მიღება მოახერხეს და პარალელურად, მასზე ძებნა საქართველოს მასშტაბით გამოაცხადეს. ბინის ჩხრეკისას ის ამპულა ნახეს, რომლიდანაც, სავარაუდოდ, არქიტექტორისთვის გაკეთებული ინექცია ამოიღეს. თავად ყოფილი ქმარი კი საღამოს დააკავეს, როცა შინ დაბრუნდა.

როგორც თავად თქვა, სამი დღით სათევზაოდ იყო მეგობრებთან ერთად ანუ მყარი ალიბი ჰქონდა, მაგრამ როცა მოქალაქე პირზე დაადგა და ამოიცნო, „მარშუტკაში“ სწორედ ეს იჯდა, ორ უცხო პირთან ერთადო, თანაც წინ ცარიელი ამპულა დაუდეს, დანებდა.

„ცოლი იმიტომ გამექცა, რომ ვლოთობდი. შემდეგ ბავშვობის ძმაკაცი შემხვდა, ფულს აპროცენტებს და თუ ვინმე არ უბრუნებს, ამოღების სამსახური სჭირდება. მეც იქ დავიწყე მუშაობა და თანხაც გამიჩნდა. ცოლთან შერიგება მსურდა, მაგრამ გათხოვება მოასწრო. სულ მინდოდა, რომ დამბრუნებოდა, მყარი ოჯახი გვქონოდა, თუმცა საწადელს ვერ მივაღწიე. როგორმე, არქიტექტორი უნდა მომეშორებინა და მეგობრებს, რომლებიც ჩემთან ერთად სესხის ამოღებაზე მუშაობენ, ვთხოვე, ერთ კაცს აქვს ჩემი ვალი, იქნებ, მომეხმაროთ, ოღონდ უნდა გავიტაცოთ, ისე ვერ შევაშინებთ-მეთქი. არც პირველია ეს გატაცება, არც – ბოლო. მანამდე, როცა გარეთ გამოვიდა, ინექცია მქონდა გამზადებული და ტროლეიბუსში, ხალხის ჭყლეტვაში, ისე გავუკეთე მკლავში, ვერაფერი იგრძნო. ალიბი შევიქმენი, მეგობრებს კი ვთხოვე, კარგად შეეჯანჯღარებინათ ჩემი მევალე. მათ კი ხელში ჩააკვდათ, იქვე, გზის პირზე მიწა მიაყარეს და წამოვიდნენ. რაც მთავარია, ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ არ მოუკლავთ და ასეცაა, არც მე მომიკლავს, როცა მოკვდა, აქედან ას კილომეტრში ვიყავი“, – დაასრულა დაკავებულმა.

სასამართლომ სამივე დამნაშავე დააკავა. ორს, რომლებმაც მამაკაცი გაიტაცეს, 4-4 წელი მისცეს, მკვლელს კი... განზრახ მკვლელობა ვერ დაუმტკიცდა და მხოლოდ 7 წელი აკმარეს ანუ ადვოკატმა სასამართლო დააჯერა, ჩემმა კლიენტმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა დაზუსტებით სცოდნოდა, ეს პრეპარატი მართლა მოკლავდა თუ არა, ყველაფერი ეს, ვიღაცისგან მოისმინაო. სასამართლომ დიდი ალბათობით, ამ ვერსიის გარდა, კიდევ რამდენიმე ათასი დოლარიც „გაიზიარა“.

## ალექსანდრე დარახველიძემ და სამინისტროს წარმომადგენლებმა 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკონსულტაციო ჯგუფთან სამუშაო შეხვედრა გამართეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკონსულტაციო ჯგუფთან (Task Force On EVAWG) სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე დაესწრო და ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

მოწვეულ სტუმრებს ასევე მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა საკითხებში ნიკო თათულაშვილმა და საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) წარმომადგენლის მოადგილე თამარ საბედაშვილმა.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდნენ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი ოსაძემ, ბოლო წლების განმავლობაში, ამავე დეპარტამენტის მიერ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში წარადგინა. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა კი შეხვედრის მონაწილეებთან მსგავსი კატეგორიის ფაქტებზე სამართალწარმოებისას დაიდენტიფიცირებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს.

ღონისძიებაში მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი აქტივობებისა და სხვა, თემატური სამომავლო გეგმების შესახებ.

აღნიშნული შეხვედრა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით, შვედეთის მიერ მხარდაჭერილი გაეროს ერთობლივი პროგრამის – „გენდერული თანასწორობისთვის“ – ფარგლებში გაიმართა.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) მრავალი წელია თანამშრომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ახორციელებს პროექტებს ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორიცაა: ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, გენდერული თანასწორობა, სექსუალური შევიწროება და სხვ.

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ რაჭაში მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული გ.ს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 10-დან 15-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე ტყეში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით, სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა თანასოფლელს – 1960 წელს დაბადებულ ო.გ.-ს და მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გ.ს. რაჭაში, სოფელ ჭრებალოში დააკავეს. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია გამართა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობითა და შვედეთის საელჩოს მხარდაჭერით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია გამართა.

ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დემოკრატიული მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელმა გიგი ბრეგაძემ, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ნიკო თათულაშვილმა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძემ და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის ხელმძღვანელმა ნინა ხატისკაცმა.

აღნიშნულ კონფერენციაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა შეაჯამეს ის საქმიანობა, რომელიც უწყებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობისთვის განხორციელდა. ასევე, შსს-ში შშმ პირთა უფლებების საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობასა და მათ ჩართულობაზე სამინისტროს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში. ღონისძიებას სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დაესწრნენ. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, ახორციელებს სისტემურ პოლიტიკას და მიზნობრივ ღონისძიებებს შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. სამინისტრომ შესაბამისი სამოქმედო გეგმები დაამტკიცა, როგორც 2021 წელს, ასევე, 2022 წელს.

ამასთან, სამინისტროსთან შექმნილი შშმ პირთა საკონსულტაციო ჯგუფი უზრუნველყოფს სისტემაში შშმ პირთა უფლებების დაცვის პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში მათ არსებით მონაწილეობას.

პროექტი – „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის ეფექტური აღსრულების ხელშეწყობა“ – 2022 წლიდან, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის (NCCE) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, შვედეთის და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ხორციელდება.

## ვახტანგ გომელაურმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩთან გაცნობითი შეხვედრა გამართა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩთან, ჭოუ ციენთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს სამხედრო ატაშეს მოადგილე, შში ციაო.

მხარეებმა საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის არსებულ ნაყოფიერ საგარეო-პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე ისაუბრეს. შეხვედრის მონაწილეებმა, სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობაზეც გაამახვილეს ყურადღება. ვახტანგ გომელაურმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

შეხვედრის დასასრულს, შინაგან საქმეთა მინისტრმა, ჭოუ ციენს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

## შინაგან საქმეთა მინისტრი საბერძნეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საბერძნეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, მარია თეოდორუსთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა. შეხვედრას საბერძნეთის რესპუბლიკის პოლიციის მეკავშირე ოფიცერი, პანაგიოტის სიმეონიდისი და თავდაცვის ატაშე, ვასილეიოს ლაგოგიანისიც ესწრებოდა. მხარეებმა საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს და ხაზი გაუსვეს ამ მიმართულებით პოლიციის ატაშეების ინსტიტუტის როლს. შეხვედრაზე აღინიშნა ბერძნული მხარის მნიშვნელოვანი როლი საქართველოს სანაპირო დაცვის განვითარებასა და სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერებაში. შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა ელჩსა და ატაშეებს საქმიანობაში წარმატებები უსურვა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ბერძნულ მხარეს მადლობა გადაუხადა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მტკიცე მხარდაჭერისთვის.

# ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო

ჰო, ნამდვილი მსოფლიოს ჩემპიონატი სწორედ ახლა დაიწყო. მას შემდეგ, რაც ჯგუფური ეტაპი დასრულდა და სახლში ის გუნდები წავიდნენ, რომელთათვის მთავარი არა გამარჯვება, არამედ, მონაწილეობა იყო, მუნდიალმა უფრო სანახაობრივი მხარე შეიძინა. მერვედფინალებიც ზუსტად ისე მიდის, როგორც დაგეგმილი იყო – ძლიერები უმარტივესად გადიან ამ ბარიერს და უკვე მეოთხედფინალიდან, ბევრად საინტერესო მატჩები გველოდება. მარტო ჰოლანდია-არგენტინისა და ინგლისი-საფრანგეთის დაპირისპირება რად ღირს? ჰო, თუ ყველაფერი ლოგიკის მიხედვით წავა, ნახევარფინალში სუპერ-შეხვედრას ვიხილავთ, რომელშიც არგენტინა ბრაზილიას დაუპირისპირდება. ჯერჯერობით, ყველაფერი აქეთკენ მიდის და ვნახოთ.

რაც შეეხება უშალოდ მუნდიალის ამბებს. ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი რახიმ სტირლინგი არათუ განაცხადში, არამედ, სათადარიგოთა შორისაც არ ჩანს. ბევრს ეგონა, რომ ფეხბურთელს ტრავმა აწუხებდა, მაგრამ სამედიცინო შტაბმა გავრცელებული ინფორმაცია უარყო და განაცხადა, რომ სტირლინგი სრულიად ჯანმრთელია. შედეგად, გუნდის თავკაცი იძულებული გახდა, კითხვაზე პასუხი გაეცა და თქვა კიდეც, ცხოვრებაში ფეხბურთზე მნიშვნელოვანი რაღაცებიც არსებობს და რახიმი ინგლისში დაბრუნდაო. როგორც გაირკვა, ფეხბურთელის სახლში მძარცველები შეიჭრნენ და გარდა იმისა, რომ ძვირფასეულობა წაიღეს, მისი ოჯახის წევრებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ამიტომ, ფეხბურთელმა მსოფლიოს ჩემპიონატს თავი დაანება და ინგლისში, ოჯახთან დაბრუნდა.

უცნაურ შარში გაეხვა საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი ჟიულ კუნდე. პოლონეთთან შეხვედრის 42-ე წუთი მიდიოდა, როცა კუნდემ აუტის მიწოდება გადაწყვიტა და გვერდითა მსაჯმა შეხვედრა შეაჩერა. როგორც გაირკვა, ლამის, მთელი პირველი ტაიმი, კუნდემ ყელზე ოქროს ყელსაბამით ითამაშა, რაც სასტიკად აკრძალული და ფიფას წესების დარღვევაა. საინტერესოა, რომ ოქროს ჯაჭვი ისე იყო შემოხვეული კუნდეს ყელზე, რომ მას მწვრთნელის დახმარება დასჭირდა მის მოსახსნელად. თუ კუნდე ჯაჭვის მოხსნაზე უარს იტყოდა, ჯერ ყვითელს, შემდეგ კი წითელ ბარათს მიიღებდა. ახლა კი, მას ფიფა აუცილებლად დააკისრებს სოლიდურ ფულად ჯარიმას, მსაჯს კი შენიშვნას ჩაუწერენ, რადგან ის ვალდებულია, მატჩამდე ფეხბურთელებს კისერი და თითები შეუმოწმოს, რათა ისინი მოედანზე ყელსაბამებითა და ბეჭდებით არ გავიდნენ.

საინტერესოდ იქცევა საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი კილიან მბაპე. მას უკვე 5 გოლი აქვს გატანილი და მუნდიალის ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილზეა. ის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად მესამედ დაასახელეს, მაგრამ რად გინდა, მბაპე პრიზის მიღებაზე უარს ამბობს. საქმე ის გახლავთ, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი პრიზის გენერალური სპონსორი ლუდის მწარმოებელი კომპანია „ბუდვაიზერია“, მბაპე კი ამბობს, რომ არ სურს, ალკოჰოლის მწარმოებელ ფირმას რეკლამა გაუწიოს და ბავშვებს ცუდი მაგალითი მისცეს. პირველ ჯერზე, ფიფამ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია გააფრთხილა, მეორე ჯერზე, უფრო მკაცრად გააფრთხილა, ახლა კი, როცა პოლონეთთან მატჩის შემდეგაც კილიანმა პრიზს ხელი არ მოჰკიდა, ფიფამ ფრანგები 10 ათასი ევროთი დააჯარიმა.

**„ამ თანხას მე გადავიხდი და არა ფედერაცია, რადგან ეს ჩემი გადაწყვეტილებაა და ფედერაცია არაფერ შუაშია“,** – განაცხადა მბაპემ და 10 ათასი ევროს გადახდა ნამდვილად არ გაუჭირდება, რადგან მისი წლიური შემოსავალი 100 მილიონ ევროს აჭარბებს.

# დოლიძის ზედიზედ მესამე და კარიერის ბრძოლის მოლოდინში

ქართველმა მებრძოლმა რომან დოლიძემ, UFC-ში მორიგი ორთაბრძოლა გამართა და ჯეკ ჰერმანსონს საკმაოდ ეფექტიანად მოუგო. არადა, ფავორიტად სწორედ ჰერმანსონი ითვლებოდა, თუმცა ქართველმა ილეთზე დაიჭირა, შემდეგ ფეხი ისე გაუკავა, რომ მეტოქეს განძრევის შესაძლებლობა არ ჰქონდა და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა. გარდა იმისა, რომ ამ მოგების სანაცვლოდ, დოლიძეს პრემიალური 155 ათასი დოლარი ერგო, იგი თავის წონაში, ტოპ-ათეულში შევიდა (მერვე ადგილზეა) და განაცხადა, რომ მზადაა, წონის ჩემპიონს, ხამზატ ჩამაევს შეხვდეს.

**„ჰო, მე აქ ვარ და ჩამაევს ველოდები. ვიცი, ის მშიშარა არ არის და ნებისმიერ გამწვევაზე თანახმაა. თუ აქამდე უფლება არ მქონდა მისთვის ხელთათმანი გადამეგდო, ახლა ტოპ-ათეულის წევრი ვარ და ხმამაღლა ვამბობ – მე ჩამაევთან ბრძოლა მსურს“,** – განაცხადა დოლიძემ.

თუ აღნიშნული შეხვედრა შედგება, საუბარი არა ათიათასობით დოლარზე, არამედ, მილიონებზე იქნება.

# თუშიშვილს რინერთან მოგება გაუუქმეს, ბექაურმა ტოკიოში ბრინჯაო აიღო

გასული კვირა ქართული ძიუდოსთვის ისტორიული იყო. გორში, ევროპის საკლუბო ჩემპიონატი გაიმართა და გამარჯვება ქართულ გუნდ „მებრძოლს“ დარჩა, თუმცა გულშემატკივრები ყველაზე მეტად იმან გაახარა, რომ როგორც იქნა, გურამ თუშიშვილმა კარიერის შეხვედრა მოიგო და ლეგენდარული ტედი რინერი დაამარცხა. ახლა კი, ირკვევა, რომ ქართველს ფრანგთან მოგება გაუუქმეს. 2010 წლის შემდეგ, რინერს ისევ მხოლოდ 3 მარცხი აქვს და თუშიშვილთან წაგება გაუქმდა.

**„გვესმის, რომ გულშემატკივართა ნაწილს ეს არ მოეწონება, ნაწილი კი ტაშს დაგვიკრავს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სამსაჯო შეცდომას ჰქონდა ადგილი და თუშიშვილისთვის ის ვაზარი არ უნდა მიეცათ, რომლითაც მან გამარჯვება მოიპოვა. ამიტომ, მომგებიანი ქულა და შესაბამისად, შეხვედრის შედეგი გაუქმებულია. იმის გათვალისწინებით, რომ ეს შეხვედრა ჩემპიონატის საბოლოო შედეგზე გავლენას არ ახდენს, სხვა არაფერი შეიცვლება“,** – ნათქვამია ევროპის ძიუდოს ფედერაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რადან ძიუდოზე ვსაუბრობთ, ისიც ვთქვათ, რომ ტოკიოში გამართულ გრანდ-სლემზე, ლაშა ბექაურმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ტურნირი, რომელში მონაწილეობასაც პლანეტის უძლიერესი ძიუდოისტები იღებენ, თვალსასეირო გამოვიდა და ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონის მედალი გასახარია. ცნობისათვის, ბექაურის წონაში ფინალი ედუარდ ტრიპელმა იჭიდავა – გერმანელმა პოლიციელმა, რომელმაც ბექაურთან ოლიმპიადის ფინალი წააგო. როგორც ჩანს, პოლიციელობის პარალელურად, ედუარდი კვლავ აქტიურად ვარჯიშობს და ამ ორი საქმის შეთავსება გადასარევად გამოსდის. აი, ფინალების მოგებაც რომ ისწავლოს...

# „დინამო“ ჩემპიონი მეცხრამეტედ გახდა

თბილისის „დინამო“ საქართველოს ჩემპიონია. ყველაზე ტიტულოვანმა ქართულმა კლუბმა, ბოლო ტურში, „გაგრას“ 2:1 მოუგო და საქართველოს ჩემპიონის ოქროს მედლებს ისტორიაში მეცხრამეტედ დაეუფლა. 1990, 1991, 1991/92, 1992/93. 1993/94, 1994/95, 1995/96, 1996/97, 1997/98, 1998/99, 2002/03, 2004/05, 2007/08, 2012/13, 2013/14, 2015/16, 2019, 2020, 2022 – ეს ის წლებია, როცა თბილისური კლუბი პირველობას არავის უთმობდა, თუმცა ევროთასების ჯგუფურ ეტაპზე მხოლოდ ერთხელ, 2004 წელს გააღწია.

ახლაც, მთავარი მიზანი რომელიმე ევროპული თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე გასვლაა და ნამატჩევს, კლუბის მფლობელმა, რომან ფიფიამ მოკლედ მოჭრა – ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის უნდა მოვემზადოთ, რამდენიმე ისეთი ტრანსფერი განვახორციელოთ, რომ ფიქრი რეალობასთან ახლოს იყოსო. ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს, მაგრამ... დაპირებებს ხშირად ვისმენთ, აი, შესრულება გვიჭირს ხოლმე.

# როგორც იქნა – კვარაცხელიამ ვარჯიში დაიწყო

ხვიჩა კვარაცხელიამ სეზონის პირველი ნაწილის ბოლო სამი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა და ახლა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის გამო, პრაქტიკულად, ყველა ჩემპიონატი გაჩერებულია, ქართველი შემტევი საქართველოში იმყოფებოდა, სადაც მშობლიური სოფელი და ნათესავ-მეგობრები მოინახულა. საბედნიეროდ, აქ ყოფნის პერიოდში, მან თავად დაადასტურა, რომ ტრავმა სერიოზული არ არის და ის მოედანს მალე დაუბრუნდება.

ჰოდა, გასულ უქმეებზე, კვარა „ნაპოლის“ ვარჯიშზე გამოჩნდა და რაც მთავარია, სრული დატვირთვით გაისარჯა. როგორც იტალიური მედია იუწყება, კვარაცხელიას ბურთთან კონტაქტი აშკარად მონატრებული აქვს, რადგან მცირე საფეხბურთო შოუები დადგა და თანაგუნდელებს თავბრუ დაახვია. შეგახსენებთ, რომ „ნაპოლი“ იტალიის ჩემპიონატს დაუმარცხებლად ლიდერობს და პირველი უახლოესი ოფიციალური მატჩ 4 იანვარს, „ინტერის“ წინააღმდეგ აქვს.

# როგორ დავიცვათ ბავშვები გრიპის ვირუსისგან

ლიკა თორთლაძე

## ნუგზარ უბერის რჩევები

**ყოველწლიურად, შემოდგომა-ზამთრის ცივ სეზონს ვირუსული ინფექციები ახლავს, მათთან ბრძოლა კი მუდმივი საზრუნავია. გრიპის ვირუსული დაავადებებით ნებისმიერი ასაკის ადამიანი ინფიცირდება, რაც ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებში სერიოზულ პრობლემებს იწვევს. ბოლო ერთი თვეა, გრიპის ვირუსი ბავშვებში გავრცელდა, რასაც კლინიკების გადატვირთვა მოჰყვა. რა სახის ვირუსული ინფექციებია მოსალოდნელი და როგორ უნდა ვიმკურნალოთ საწყის ეტაპზე? – „ვერსიას“ მედიცინის დოქტორი, პროფესორი ნუგზარ უბერი ესაუბრა:**

**– ბატონო ნუგზარ, რომელი ვირუსული ინფექციებია გავრცელებული ამ სეზონზე და რა სახის სიმპტომებით იჩენს თავს?**

– შემოდგომის მიწურულს, ჩვეულებრივ, ე.წ. სეზონურ ინფექციებს ვხვდებით. როგორც ექიმები ამბობენ, ესენია მწვავე რესპირაციული, სასუნთქი სისტემის დაზიანებით მიმდინარე ვირუსული ინფექციები, რომლებიც უმეტესად თვითგანკურნებადია. ინფექციები ვლინდება ცხელებით, სურდოთი, ცემინებით, ხველებით, ყელის ტკივილით და სხვადასხვა ფორმით, საერთო მდგომარეობის მოშლის ფონზე. სეზონზე სხვადასხვა ვირუსებია: რინოვირუსი, ადენოვირუსი, პარაგრიპი, ადრეული ასაკისა და წლამდე ასაკის ბავშვებში – რესპირაციულ-სინციტიალური ვირუსი.



**– რა გზებით გადადის აღნიშნული ინფექციები?**

– ძირითადად, ვირუსული ინფექცია ორი გზით ვრცელდება. ესენია: კონტაქტური გზა, როდესაც ხელის ჩამორთმევის დროს ან დაბინძურებულ გარემოსთან კონტაქტის შედეგად ხვდება ვირუსი სხეულის ზედაპირზე და ასევე, ჰაერწვეთოვანი, როდესაც ცემინების ან ხველის დროს, ვირუსი ხვდება სასუნთქი სისტემის ლორწოვანზე.

**– ყველაზე ხშირად რა ასაკის ბავშვები ავადობენ რესპირაციულ-ვირუსული ინფექციით?**

– სასუნთქი გზების ინფექციებით განსაკუთრებით 5 წლამდე ასაკის ბავშვები ავადდებიან. მშობლები ხშირად სვამენ კითხვას, რამდენჯერ შეიძლება ბავშვმა მწვავე რესპირაციული ვირუსული ინფექცია გადაიტანოს: 5 წლამდე ასაკის ბავშვს, წელიწადში, 6-8 ეპიზოდი ახასიათებს, რომ მწვავე რესპირაციულ-ვირუსული ინფექცია გადაიტანოს. ავადობა იმ ბავშვებში, რომლებიც სკოლამდელ დაწესებულებებში დადიან, პირველი ორი წლის განმავლობაში, 10%-15%-ით მეტია მათთან შედარებით, რომლებიც არ დადიან ბაღში, სამაგიეროდ, სკოლის პერიოდში უფრო ხშირად ავადობენ. ბავშვი, რომელსაც სუსტი იმუნიტეტი, ან ქრონიკული პათოლოგია აქვს, მაგალითად, გულის, ფილტვის, ან ცენტრალური ნერვული სისტემის, ექიმების რჩევაა, არ ატარონ ბაღში, რადგან ამ ეტაპზე, მისი ავადობა არ არის სასურველი. სკოლაში მას აუცილებლად შეხვდება ის ვირუსები, რომლებიც ბაღის პერიოდში უნდა გადაეტანა, თუმცა ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უმჯობესია, მოგვიანებით მოხდეს – ამ დროს ბავშვის იმუნიტეტი, მეტ-ნაკლებად, მომწიფებულია და მზადაა ვირუსთან საბრძოლველად.

**– ურჩევთ თუ არა მშობლებს, რომ ბავშვები აცრან გრიპზე?**

– ექიმები ხშირად ვიმეორებთ, რომ ბავშვმა წელიწადში 8-10-ჯერ უნდა იავადოს და ეს ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა ეს რეკომენდაციები ევროკავშირის ქვეყნებშია შეფასებული და ჩვენი სტატისტიკა არ გახლავთ. საქართველოში სხვანაირად დგას ეს საკითხი, იქ თუ ბაღში მოსიარულე ბავშვი, წელიწადში 8-ჯერ მსუბუქად ავადობს, ჩვენთან ამ სიხშირით ავადობა, იგივე ვირუსის შემთხვევაში, გაცილებით უფრო მძიმედ და ხანგრძლივად მიმდინარეობს. ამას კი ბევრი ფაქტორი განაპირობებს. გარემო ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანია იმუნიზაციის სწორი წარმართვა. მინდა აღვნიშნო, რომ წინა წლებთან შედარებით, წელს, გრიპზე აცრის უკეთესი მონაცემები დაფიქსირდა, თუმცა, ჯერჯერობით ისე არ არის გავრცელებული, როგორც ევროკავშირის ქვეყნებში. ყველამ უნდა იცოდეს, რომ გრიპის ვაქცინაცია მნიშვნელოვნად ამცირებს გრიპის ვირუსით გამოწვეულ ინფექციებს. ხშირად, მშობლებს უთქვამთ, რომ ბავშვი გრიპის ვირუსზე აცრის მიუხედავად, მაინც გახდა ავად. რასაკვირველია, გახდება ავად, რადგან ეს ვაქცინა მხოლოდ გრიპის ვირუსებისაგან იცავს ადამიანებს და არა სხვა ვირუსებისაგან.

**– რა შემთხვევაშია აუცილებელი ბავშვების საავადმყოფოში გადაყვანა?**

– კლინიკურ მედიცინას ბავშვის ავადმყოფობის ე.წ. საგანგაშო ნიშნები აქვს ჩამოყალიბებული. მიუხედავად იმისა, რომ ცხელებას დამცველობითი ფუნქცია აქვს, მის ხანგრძლივობასა და მდგომარეობასაც აქვს ზღვარი. როდესაც ტემპერატურა მაღალ რიცხვებს აღწევს და დამწევებს ცუდად ექვემდებარება, ასევე, თუ ბავშვი მივარდნილია ან პირიქით – მკვეთრად აღგზნებულია, არ იღებს საკვებს და სითხეს, მას სჭირდება ჰოსპიტალიზაცია. ცხელების მართვას გადაუდებელი დახმარების განყოფილება არეგულირებს. მას შემდეგ, რაც ბავშვი კოვიდინფექციაზე დაიტესტება, ირკვევა, ინფექცია ვირუსულია თუ ბაქტერიული. შესაბამისად, მკურნალობის ტაქტიკა განსხვავებულია. ვირუსულ ინფექციას, ბაქტერიული ინფექციისგან განსხვავებით, არ სჭირდება ანტიბიოტიკი. თუ სიცხე ბაქტერიულითაა გამოწვეული, სწორად შერჩეული მკურნალობის მეშვეობით, ანტიბიოტიკი საჭირო და ეფექტიანია. ასევე, მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ ხველას, რადგან ამას თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს. მშობლებს, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, ერთხელ მაინც ექნებათ გაგებული ვირუსული კრუპის სინდრომის შესახებ, რასაც პარაგრიპოზული ინფექცია იწვევს. იგი ვლინდება ხმის ტემბრის შეცვლით, იშვიათი, მაგრამ მყეფარე ხასიათის ხველითა და ხმაურიანი სუნთქვით. მედიცინაში, მყეფარე ხასიათის ხველა ნიშანია მშობლისა და ექიმისთვის, რადგან ამ ტიპის ხველით ხვდებიან, რასთან აქვთ საქმე. ძირითადად, ხველების პროცესი მსუბუქი და საშუალო სიმძიმით მიმდინარეობს, რამდენიმე საათის განმავლობაში, კი პრობლემა, რომელსაც მშობლები აწყდებიან ბავშვის ხველების დროს, სწორი და კორექტული მკურნალობით, ადვილად გვარდება. ამგვარ ხველებას სხვა მიზეზებიც აქვს, თუმცა ყველაზე გავრცელებული და ხშირი ვირუსული ინფექციაა. მსგავსი ხველების დროს, გირჩევთ, ბავშვი მიიყვანოთ გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში. ასევე, მინდა აღვნიშნო რესპირაციულ-სინციტიალური ვირუსი, წვრილი ბრონხების ანთება, რომელიც უხშირესია, განსაკუთრებით, 2 წლამდე ასაკის ბავშვებში. ხშირად, ის მსუბუქად მიმდინარეობს, მაგრამ არსებობს ფორმები, როდესაც ამ ინფექციით გამოწვეულ წვრილი ბრონხების ანთებას სტაციონარში მკურნალობენ.

**– როგორ უნდა მოიქცნენ მშობლები ვირუსის განმეორებითი ეპიზოდისგან ბავშვების დასაცავად?**

– ჩემს საექიმო პრაქტიკაში, ჩემი კოლეგების მსგავსად, ძალიან ხშირად მხვდება გარემოება, როდესაც მშობლები ვერ იცავენ ბავშვებს. ბავშვს, რომელმაც გადაიტანა სასუნთქი გზების ფორმა, ერთ შემთხვევაში, ბრონხების ანთება და მეორე შემთხვევაში – ფილტვების ანთება, შესაძლოა, საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ, სახლში, ბაღში მოსიარულე, ან სკოლაში მოსიარულე მსუბუქად ინფიცირებული დედმამიშვილის ან ოჯახის რომელიმე წევრისგან კვლავ შეხვდეს ვირუსი. შესაძლოა, სწორედ ეს იქცეს საავადმყოფოდან გამოწერილი ბავშვის, კვლავ კლინიკაში მოხვედრის მიზეზად.

## ცხვრები წრეზე დადიან

ჩინეთის ჩრდილოეთში მდებარე ერთ-ერთ პროვინციაში, ცხვრების ფერმაში, ორ კვირაზე მეტია, ცხოველები წრეზე დადიან. ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო მედიაში გამოქვეყნდა. ცნობილია, რომ ცხოველები აბსოლუტურად ჯანმრთელები არიან, მათი ასეთი ქცევის მიზეზი კი ჯერჯერობით ვერ დაადგინეს. ფერმის მფლობელის თქმით, ყველაფერი რამდენიმე ცხვრით დაიწყო, მოგვიანებით კი მათ მოძრაობას დანარჩენებიც შეუერთდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფერმაში ცხვრების 34 სადგომია, ასე უჩვეულოდ მხოლოდ ერთში მყოფი წყვილჩლიქოსნები იქცევიან.

## ეკოლოგიური დრეს-კოდი „ოსკარის“ ცერემონიაზე

ამერიკელმა კინოაკადემიკოსებმა „ოსკარის“ პრემიისთვის ეკოლოგიური დრეს-კოდი შემოიღეს. მათ კოლაბორაციის შესახებ განაცხადეს „მდგრად“ ორგანიზაციასთან, რომელიც დიზაინისა და გართობის სამყაროში ეკო-იდეებს – Red Carpet Green Dress Global აპიარებს. შედეგად, მივიღეთ ის, რომ ამიერიდან, „ოსკარის“ სტუმრები მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდონ სამოსის შერჩევას. ორგანიზაცია სახელგანთქმულ ადამიანებს სთავაზობს, ისარგებლონ სპეციალური სახელმძღვანელოთი და შეარჩიონ გამოსასვლელი სამოსი შემდეგი კატეგორიებიდან: ორგანული ტანსაცმელი, ეკო-ნახელავი დამოუკიდებელი ბრენდებისგან, ეკო-ტყავი, ასევე, ვინტაჟური ნივთები. როგორც დასავლური მედია წერს, გზამკვლევი ეკოლოგიური დრეს-კოდის შესახებ, წინასწარ გავრცელდება ცერემონიაზე მიწვეულ სტუმრებს შორის.

## ბორტგამცილებლებს ჭაღარა აუკრძალეს

ავიაკომპანიამ Air India, საკუთარ ბორტგამცილებლებს ჭაღარა თმა და სიმელოტე აუკრძალა. როგორც ბრიტანული მედია წერს, ავიაკომპანიამ ახალი მკაცრი წესების შემოღება გადაწყვიტა. ახალი მოთხოვნების სიის მიხედვით, რომელიც უკვე გამოქვეყნდა, არ შეიძლება, რომ Air India-ს თანამშრომლებს ჰქონდეთ ჭაღარა თმა, იყვნენ მელოტები, ან ატარონ ყოველდღიური ტანისამოსი მაშინაც კი, თუ ისინი პერონალის კი არა, მგზავრების რანგში მიფრინავენ. ამ მოთხოვნების დასაცავად, ავიაკომპანია საკუთარ თანამშრომლებს ურჩევს, რეგულარულად შეიღებონ თმა ნატურალურ ფერში (მოდური ფერები და ინით შეღებვა აკრძალულია). იმ თანამშრომლებს კი, რომლებსაც თმა ნელ-ნელა უთხელდებათ, ხშირ-ხშირად თავის გადაპარსვა მოუწევთ.

## ვაკანსია – ვირთხების გამანადგურებელი

ნიუ-იორის ხელისუფლებამ ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა ვაკანსიის თაობაზე – მსურველებს ვირთხებთან ბრძოლის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობის დაკავებას სთავაზობენ. გარდა სხვა თვისებებისა, ვაკანტური ადგილის დაკავების კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ „მკვლელის ინსტინქტი“ და „მოხერხებულობის აურა“. გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომ იდეალური კანდიდატი მეტად მოტივირებული უნდა იყოს და რაღაც ხარისხით – სისხლისმსმელიც კი. ვრთხების პრობლემა აშშ-ს უდიდეს მეგაპოლისში არახალია. ამჟამად, მღრნელების რაოდენობას 2 მილიონამდე ითვლიან. „ნიუ-იორკის 8.8 მილიონი მცხოვრები და ქალაქის ხელისუფლება მზადაა, მხარში დაგიდგეთ, რომ შემცირდეს ვირთხების პოპულაცია“, – ნათქვამია მერიის მიერ გავრცელებულ დოკუმენტში. კანდიდატი უნდა ცხოვრობდეს ნიუ-იორკში და ფლობდეს ბაკალავრის ხარისხს. სავარაუდო ხელფასი 120-170 ათასი დოლარია წელიწადში.

# 30-წლიანი ემბრიონებიდან ტყუპები გაჩნდნენ

აშშ-ში ახალი სამედიცინო რეკორდი დამყარდა – დაიბადნენ ტყუპები ემბრიონებიდან, რომლებიც 30 წლის წინ გაყინეს. ცნობილია, რომ 1992 წლის 22 აპრილიდან, ეს ემბრიონები თხევად აზოტში, მინუს 128 გრადუსზე ინახებოდა. გადანერგვის ისტორიაში, ეს ყველაზე ხანგრძლივი ლოდინის დროა. CNN-ის ცნობით, ტყუპები – ლიდია და ტიმოთი 31 ოქტომბერს დაიბადნენ. მათ მშობლებს – ფილიპ და რეიჩელ რიჯუეიებს კიდევ ოთხი შვილი ჰყავთ.

„როდესაც გაშვილების ცენტრში მივედით, პირველი, რაც ვიფიქრეთ, იმ ემბრიონის არჩევა იყო, რომელიც ყველაზე დიდხანს ელოდა, დედ-მამა ჰყოლოდა“, – აცხადებენ ცოლ-ქმარი.

სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ეს შემთხვევა დაამშვიდებს ადამიანებს, რომლებიც ეჭვობენ, რომ 5-10 და 30 წლის წინ გაყინულ ემბრიონებს შვილის ყოლის მსურველები არ აირჩევენ. აღსანიშნავია, რომ წინა რეკორდსმენი მოლი გიბსონი იყო, ის იმ ემბრიონიდან დაიბადა, რომელიც თითქმის 27 წელი იყო გაყინული, მისი და ემა კი „ამქვეყნად მოვლინებას“ 24 წელი ელოდა.

# „კულტურული ბონუსები“ ახალგაზრდებისთვის

გერმანიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, 18 წელს მიღწეულ ახალგაზრდებს, ეგრეთ წოდებული, „კულტურული ბონუსები“ დაურიგოს. ესაა 200 ევროს ღირებულების აბონემენტი, რომლითაც სხვადასხვა ღონისძიებებზე დასწრება შეიძლება. სრულწლოვანების საჩუქარი ახალგაზრდამ შეიძლება გახარჯოს წიგნების, თეატრის ან კონცერტების ბილეთების შესაძენად. ახალი პროექტის საორიენტაციო ღირებულება, დაახლოებით, 100 მილიონი ევროა. მიზანი კი ახალგაზრდების წახალისებაა, რომლებიც პანდემიისას შინ ჯდომას მიეჩვივნენ და ასევე, კულტურის სფეროს აღორძინება. მომავალ წელს, „კულტურულ ბონუსს“ გერმანიის 750 ათასი მცხოვრები მიიღებს. აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე მსგავსი გადაწყვეტილებები მიიღეს საფრანგეთის, იტალიისა და ესპანეთის მთავრობებმა.

# ჩანთა – მარტინის ბოკალით

შვედურმა ალკოჰოლურმა ბრენდმა Absolut Vodka, Pasta Bag-ის დიზაინერ ნიკოლას ბენტელესთან ერთად, შექმნა ჩანთა Absolut Espresso Martini, რომელსაც კოქტეილის ბოკალის ფორმა აქვს. აქსესუარი ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც მარტინის ჭიქა – პირამდე გავსებული ესპრესო ყავის მარცვლებით. ჩანთა ტყავის, ქრომირებული ფოლადისა და მტკიცე ტრიტანის პლასტმასისგანაა დამზადებული. აქსესუარი შეზღუდული რაოდენობით გამოუშვეს და ის უკვე გაყიდვაშია, მისი ფასი 200 დოლარამდეა.

# შაქრის დონეს უსისხლოდ დაადგენთ

ბრიტანელმა სწავლულებმა, ბატას უნივერსიტეტიდან არაინვაზიური დასაწებებელი პლასტირი შექმნეს, რომელსაც შეუძლია, კანიდან სისხლში გლუკოზის დონე განსაზღვროს ისე, რომ ამისთვის თითიდან სისხლის აღება არ გახდეს საჭირო. პლასტირი არ აზიანებს კანს, ის გლუკოზას უჯრედშორისი სითხიდან, თმის ფოლიკულების გავლით იღებს. გლუკოზა უმცირეს რეზერვუარებში გროვდება და მისი რაოდენობა იზომება. ასეთი გაზომვა, რამდენიმე საათის განმავლობაში, ყოველ 10-15 წუთში ტარდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გადამცემთა სისტემის თავისებურებების წყალობით, ინოვაციურ პლასტირს სისხლის აღება არ სჭირდება. მოწყობილობაზე ჩატარებული ექსპერიმენტების შემდეგ, სწავლულები იმედოვნებენ, რომ შეძლებენ იაფი და ყველგან სატარებელი გადამცემის შექმნას. ის კანზე განთავსდება და გლუკოზის მონაცემებს სმარტფონზე გაგზავნის, რათა მომხმარებელმა იცოდეს, როდის დასჭირდება შესაბამისი სამედიცინო დახმარება.

# მასკმა ტრამპი Twitter-ზე დააბრუნა

სოციალური ქსელის Twitter-ის ახალმა მფლობელმა ილონ მასკმა, აშშ-ს ექს-პრეზიდენტის ანგარიში აღადგინა. ამ ინფორმაციას BBC ავრცელებს. როგორც გამოცემა წერს, ასეთი გადაწყვეტილება მასკმა Twitter-ზე ჩატარებული გამოკითხვის შემდეგ მიიღო. გამოკითხულთა 52%-მა ხმა ტრამპის ანგარიშის აღდგენას მისცა, 48% კი წინააღმდეგი იყო. გამოკითხვაში სულ 15 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა. Twitter-ის ძველმა ხელმძღვანელობამ დონალდ ტრამპის ანგარიში 2021 წელს, მას შემდეგ დაბლოკა, რაც ექს-პრეზიდენტის მომხრეებმა კაპიტოლიუმზე შტურმი მიიტანეს. კომპანიაში ჩათვალეს, რომ ტრამპის „ტვიტებს“, შესაძლოა, ქსელის მომხმარებლებისთვის არეულობისა და ძალადობისკენ ებიძგა.

# კუს ფორმის მცურავ ქალაქს ააშენებენ

იტალიელმა დიზაინერმა პიერ-პაოლო ლაზარინიმ მცურავი ქალაქის საკუთარი პროექტი წარადგინა, რომელსაც სახელად Pangeos უწოდა. ეს სახელი პროექტს სუპერკონტინენტის – პანგეას პატივსაცემად დაერქვა. ქალაქი-იახტის სიგრძე 550 მეტრი იქნება, სიგანე კი – 610 მეტრი. მცურავ ობიექტს ბორტზე 60 ათასი სტუმრის მიღება შეეძლება. მის შექმნას, დაახლოებით, 8 წელი დასჭირდება, პროექტის საერთო თანხა კი 8 მილიადი დოლარი იქნება. თუკი Pangeos საერთოდ აშენდება, ის არა მხოლოდ ყველაზე დიდი საკრუიზო ლაინერი იქნება, არამედ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაგებობაც მსოფლიოში. მცურავ ქალაქს კუს ფორმა ექნება. მის ბორტზე გათვალისწინებულია ვილები, აპარტამენტები და პენტჰაუსები, ასევე, რესტორნები, ბარები და კაფეები, სხვა გასართობი დაწესებულებები. კუს ფორმის იახტა სრულად ელექტროსატრანსპორტო საშუალება იქნება, მისი მაქსიმალური სიჩქარე 9.26 კმ/სთ იქნება. ლაზარინი მიიჩნევს, რომ ამ პროექტის განხორციელებაში დახმარებას საუდის არაბეთი შეძლებს.

# კურორტზე სექს-თოჯინები აკრძალეს

პოპულარული ესპანური კურორტის, მალაგას ხელისუფლებამ გასაბერი სექს-სათამაშოები აკრძალა, რომელიც ხალხს ადგილობრივ წვეულებებზე მიაქვს ხოლმე. ბოლო წლებში, ეს სამხრეთ-ესპანური ქალაქი პოპულარული ადგილი გახდა ტურისტებისთვის, რომელთაც გასართობი საღამოების, წველებების მოწყობა სურთ. მიზეზი მალაგას იაფი რეისები და მჩქეფარე ღამის ცხოვრებაა. თუმცა, ადგილობრივებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, სტუმრების უწესო ქცევებს შეებრძოლონ. ახალი კანონის მიხედვით, აკრძალულია ქუჩაში ყოფნა მხოლოდ ქვედა საცვალით, ასევე, ტანსაცმლით ან აქსესუარით, რომელიც გენიტალიებს გამოხატავს, ან სექს-თოჯინებით. კანონდამრღვევს 750 ევროს ოდენობის ჯარიმა ემუქრება. ეს თანხა 1500 ევრომდე შეიძლება გაიზარდოს, თუკი კანონდამრღვევი არასრულწლოვანთან, ან შშმ პირთან ერთად იქნება, ან დარღვევა სკოლასთან და საბავშვო მოედანთან დაფიქსირდება.

# ძილში ფულს იხდიან

ამერიკული კომპანია Eachnight, რომელიც სწორი ძილის შესახებ რჩევებს აქვეყნებს, მოხალისეებს ეძებს. ექსპერიმენტის მონაწილეებს, კომპანია 30 დღის განმავლობაში, დღისით დაძინებისთვის 1500 დოლარს გადაუხდის. ექსპერიმენტის მიზანია, რამდენიმე თეორიის გადამოწმება დღისით ძილის სარგებელის შესახებ – რამდენსაათიანი ძილია საჭირო დასვენებისთვის, რა გავლენა აქვს დღისით ძილს მეხსიერებაზე, მოტივაციასა და პროდუქტიულობაზე. ექსპერიმენტში მონაწილეობა 18 წელს გადაცილებულ ადამიანებს შეუძლიათ.

# ენერგიას მაისური გამოიმუშავებს

ესპანელმა და იტალიელმა სწავლულებმა მაისური შექმნეს, რომელიც ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ამას სხეულსა და გარემოს შორის არსებული ტემპერატურული სხვაობით ახერხებს. სეირნობის, სირბილის ან სპორტული ვარჯიშების შესრულების დროს, შესაძლოა, ადამიანის სხეულის მიერ გამომუშავებული სითბოსა და გარემოს შედარებით ცივ ტემპერატურასთანNსხვაობა სითბურ ენერგიად გარდაიქმნას. თუმცა, საინტერესოა, როგორ გამოვიყენოთ ის? მაგალითად, დავმუხტავთ ტელეფონს, თუკი სირბილის დროს, ჩავიცვამთ მაღალტექნოლოგიურ მაისურს. ტანსაცმლის ახალი ტიპის განმასხვავებელი ნიშანი მასში პომიდვრის კანის არსებობაა. ბამბის მაისურზე ნახშირწყლოვანი ნანონაწილაკების მიმაგრებისთვის სწავლულებს, ეგრეთ წოდებული, ბიოლოგიური წებო დასჭირდათ, რისთვისაც პომიდვრის კანი გამოიყენეს და იმავდროულად, ნარჩენების პრობლემაც მოაგვარეს. ახალი მაისური საკმაოდ მდგრადია გარეცხვისას. ამჟამად, მკვლევარები მაისურის დახვეწაზე მუშაობენ, რათა ის რეცხვასა და გაუთოვებაში მთლიანად მდგრადი იყოს.

# მარილი იმუნურ სისტემას აქვეითებს

მარილის ჭარბი მოხმარება სისხლის წნევის კრიტიკული მატების, ინფარქტისა და ინსულტის რისკის ზრდასთან ერთად, შესაძლოა, იმუნიტეტის დაქვეითების მიზეზიც გახდეს – გვაფრთხილებენ გერმანელი სწავლულები, ბონის უნივერსიტეტიდან. კვლევებისას, მოხალისეები, გარდა ჩვეულო მოხმარებისა, დამატებით კიდევ 6 გრამ მარილს იღებდნენ ყოველდღიურად. დაახლოებით, ამ რაოდენობის მარილს შეიცავს ორი ჰამბურგერი და ორი პორცია კარტოფილი „ფრი“. უკვე ორი კვირის შემდეგ, ასეთი რაციონის გამო, იმუნური უჯრედები ბაქტერიებს გაცილებით ცუდად უმკლავდებოდნენ. მარილის მომატებულმა რაოდენობამ მკვეთრად გამოხატული იმუნოდეფიციტი გამოიწვია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, დღეში 5 გრამზე მეტი მარილის მიღება სასურველი არ არის.

# კბილის პასტები უსარგებლოა?

კბილის ყველა პასტა, პრაქტიკულად, ერთნაირია და არ შეუძლია, კბილები დაიცვას მაღალი მგრძნობელობის ან დაშლისგან – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სპეციალისტები, შვეიცარიისა და ბრაზილიის უნივერსიტეტებიდან. სწავლულთა საერთაშორისო ჯგუფმა გამოსაკვლევად აიღო – საკონტროლოდ ერთი „ჩვეულებრივი“ და რამდენიმე სხვადასხვა სახეობის პასტა, რომლებიც ეროზიისგან და კბილების მგრძნობელობისგან დაცვას გვპირდებიან. ექსპერიმენტებისას, წმენდის ხუთი ციკლი ჩატარდა ყველაზე უფრო პოპულარული კბილის პასტებით, ბრაზილიასა და ევროპაში. აღმოჩნდა, რომ მათგან არცერთი არ იცავს კბილებს კარიესისგან და არ შეუძლია შეაჩეროს კბილის ემალის დაკარგვა. სპეციალისტები გვირჩევენ, სამი ძირითადი წესი დავიცვათ, რათა ემალის გაცვეთა და სხვა პრობლემები ავირიდოთ თავიდან – ეს არის კვების სწორი რეჟიმი, პირის ღრუს კარგი ჰიგიენა და სტომატოლოგთან რეგულარული ვიზიტი.

# ანტისტრესული ყურსასმენები შექმნეს

კორეული კომპანია Fuman-ის წარმომადგენლებმა უზარმაზარი ანსტისტრესული ყურსასმენები – Nirvana შექმნეს, რომელიც მუსიკას არანაირად არ უკავშირდება. ერთადერთი ხმა, რომელიც ამ გაჯეტის საშუალებით შეგიძლიათ მოისმინოთ, თეთრი ხმაურია. საქმე ის არის, რომ ყურსასმენებში ყურების მასაჟისთვის საჭირო მილაკებია ჩამონტაჟებული. ეს Nirvana-ს ერთადერთი ფუნქციაა, რომელიც, მწარმოებლების თქმით, გაჯეტის მომხმარებელს „დამშვიდებისა და კომფორტის შეგრძნების“ გრანტიას აძლევს. ფირმამ ამ უნიკალური ყურსასმენების შესაქმნელად თანხა ინტერნეტ-მომხმარებლების მეშვეობით შეაგროვა და მისი მასობრივი წარმოების დასაწყებად საკმარისი ფული უკვე აქვს. თვის ბოლომდე ამ ინოვაციური გაჯეტის შეძენა 180 დოლარადაა შესაძლებელი.

# მწვანე ჩაი სიმსივნეს იწვევს?

ამერიკელმა სწავლულებმა, რომლებიც ონკოლოგიური დაავადებების შესწავლაზე მუშაობენ, ცოტა ხნის წინ სენსაციური აღმოჩენა გააკეთეს. აღმოჩნდა, რომ დიდი რაოდენობით მწვანე ჩაი არც ისე სასარგებლო ყოფილა და თურმე, სავსებით შესაძლებელია, რომ სიმსივნეც კი გამოიწვიოს. მეცნიერების განცხადებით, მწვანე ჩაის ეს თვისება იმით არის გამოწვეული, რომ მას შეუძლია, სპეციალური გენის p53-ის რაოდენობა გაზარდოს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ყველა ონკოლოგიურ დაავადებას. მოკლედ, მწვანე ჩაი, ერთდეოულად, სასარგებლოც და საზიანოც ყოფილა. მხოლოდ მისი ზომიერი მიღება მოუტანს სარგებელს ორგანიზმს, ჭარბი რაოდენობა კი კიბოს გაჩენას უწყობს ხელს.

# პოლიციელი სიჩქარის გადაჭარბებისთვის დასაჯეს

შვეიცარიაში, ქალაქ ჟენევაში, პოლიციელი 600 ფრანკით (528 ევრო) იმის გამო დააჯარიმეს, რომ ბანკის ძარცვაში ეჭვმიტანილის დევნისას, სიჩქარეს გადააჭარბა. სამართალდამცავმა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება სცადა, თუმცა უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ქვედა ინსტანციის განაჩენი ძალაში დატოვა. აღნიშნავენ, რომ პოლიციელმა დევნისას ორჯერ გადააჭარბა სიჩქარეს. პროკურორებმა პირველი შემთხვევა დასაშვებად მიიჩნიეს, მეორე კი საგზაო მოძრაობის წესების უხეშ დარღვევად ჩათვალეს. შედეგად, პოლიციელს 600 ფრანკი ჯარიმის გადახდა მოუწევს. მოსამართლის თქმით, სიჩქარის გადაჭარბება მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა ვინმეს სიცოცხლე საფრთხეშია.

# პომიდორი სისხლძარღვებს აღადგენს

ბიოლოგებმა დაამტკიცეს, რომ პომიდორი და საზამთრო ხელს უწყობს ინფარქტისა და ინსულტის შემდეგ დაზიანებული სისხლძარღვებისა და არტერიების აღდგენას. შესაბამისი კვლევის შედეგები ჟურნალ PLOS ONE-ში გამოქვეყნდა. აღმოჩნდა, რომ ეს ბაღჩეული კულტურები ძალიან სასარგებლო ყოფილა სისხლძარღვებისთვის. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ პომიდორშიც და საზამთროშიც არის ლიკოპინი, რომლის დამსახურებაცაა მათი სასიკეთო გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. ჩატარებულ კვლევებში 40-მდე მოხალისე მონაწილეობდა. მათ ნაწილს ლიკოპინს აძლევდნენ, ნაწილს – პლაცებოს. აღმოჩნდა, რომ იმ პაციენტებს, რომლებიც რეალურ პრეპარატს იღებდნენ, სისხლძარღვების გამტარუნარიანობა 53%-ით გაუუმჯობესდათ.

# გემრიელი საჭმელი სიცოცხლეს გვიმოკლებს

ამის თაობაზე სამხრეთ კორეელმა სწავლულებმა შესაბამისი კვლევების შემდეგ განაცხადეს. თავის ტვინის სენსორული უჯრედები, რომლებიც აქტიურდებიან ზოგიერთი გემოსა და სურნელის ზემოქმედების შედეგად, აძლიერებს ჰორმონ ინსულინ-6-ის სინთეზს. სისხლში ამ ჰორმონის მომატებული რაოდენობა კი ნეგატიურად მოქმედებს სიცოცხლის საერთო ხანგრძლოვობაზე, – გვიხსნიან მკვლევარები. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ საკვების სუნისა და გემოს მიმართ უფრო მგრძნობიარენი ის ადამიანები არიან, რომელთაც ზედმეტი წონის პრობლემა აქვთ. პირველ რიგში, სწორედ ისინი უნდა დაფიქრდნენ საკუთარ ჯანრთელობაზე და შეცვალონ არსებული კვებითი პრიორიტეტები.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.